საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 11 იანვარი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 7 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 7

თავზარდაცემულნი მშობლები: სიმონ და პეპი; ძმები: კონსტანტინე, თეიმურაზი, მელიტონ და აკაკი, სიძე მიქ. იმედ ჯაყელი, და მატრონე აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ, რომ ქ. ტფილისში 7 იანვარს საღამოს 7 საათზე ვერაგულად მოკლულ იქმნა მათთვის დაუვიწყარი და უსაყვარლესი სტუდენტი

პეტრე სიმონის ძე თოიძე

გამოსვენება მოხდება 11 იანვარს კვირას შუადღის 3 საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან სოფ. მაკვანეთში. (120—1—1)

ქ. ტფილისის პირველი სამილიციო უბნის კომისარიატი ღრმად დამწუხრებული აუწყებს საზოგადოებას, რომ ამა წლის 7 იანვარს ტრაგიკულად მოკლული იქნა ამავე ს. მილიციის უფროსი მილიციელი სტუდენტი

პეტრე სიმონის ძე თოიძე

ცხედრის გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან კვირას 11 იანვარს ნაშუადღევს 3 საათზე და წასვენებული იქნება გურიაში სოფ. მაკვანეთში. (124—1—1)

ღრმად დამწუხრებული ამხანაგები: ერმილო გერსამია, მელიტონ კალანდაძე, ვლადიმერ გაბიანი, იპოლიტე დოლიძე, ივლიანე ჯანელიძე, აბესალომ კეკელიძე და ვალიკო შერიძე აუწყებენ ამხანაგ-ნაცნობ-მეგობრებს, რომ 7 იანვარს ტრაგიკულად მოკლული იქნა უძვირფასესი და მოწინავე ამხანაგი სტუდენტი

პეტრე სიმონის ძე თოიძე

ცხედრის გამოსვენება მოხდება ქვაშვეთის ეკლესიიდან კვირას, 11 იანვარს ნაშუადღევს 3 საათზე და წასვენებული იქნება გურიაში სოფ. მაკვანეთში. (131—1—1)

ქ. ტფილისის მილიციის პროფ. კავშირის გამგეობა ღრმად დამწუხრებული აუწყებს ამხანაგებს, რომ ამა წლის 7 იანვარს ტრაგიკულად მოკლული იქნა კავშირის წევრი პირველი სამილიციო უბნის უფროსი მილიციელი სტუდენტი

პეტრე სიმონის ძე თოიძე

გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან კვირას 11 იანვარს ნაშუადღევის 3 საათზე და ცხედარი წასვენებული იქნება გურიაში სოფ. მაკვანეთს, სადაც დასაფლავებული იქნება. (124—1—1)

ქ. ტფილისის მილიციის კოოპერატივის გამგეობა და მასთან არსებული სარევიზიო კომისია იუწყება, რომ ამა წლის 7 იანვარს ტრაგიკულად მოკლულ იქმნა კოოპერატივის სარევიზიო კომისიის წევრი სტუდენტი

პეტრე სიმონის ძე თოიძე

ცხედრის გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან კვირას, 11 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე და წასვენებული იქნება გურიაში, სოფ. მაკვანეთში. (124—1—1)

უზომო მწუხარებაში მყოფნი შვილები: დავითი, კოტე და ნატო, რძლები: ნინო [illegible] აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ იანვრის 9 (ახ. სტ.) მოულოდნელად გარდაიცვალა მათი საყვარელი მამა

მიხეილ ალექსის ძე როსტომაშვილი

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე, გამოსვენება კვირას, იანვრის 11, სურამინოსის შესახვევიდან ავლაბარი, № 12, საკ. სახ. წმ. მარინეს ეკლესიაში, დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (118—1—1)

ქართველი კბილის ექიმები ამით აუწყებენ უდროოდ გარდაცვალებას საუკეთესო ამხანაგის და მეგობრის

ეკატერინე ყარამანის ასულის მაჟულაიშვილი ხოდნიევისას

გამოსვენება დღეს შაბათს სამ საათზე საკ. ბინიდან. ყველა კბილის ექიმთ ევალებათ დასაფლავებაზე დასწრება. (116—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: და ანნა ნ დირაძისა, დეიდა ბატიევისა ქმრით, მამიდა ეკატერინე ჯავახიძისა, ბიძაშვილები: ნატალია გაბაცაძისა და ნატალია საყვარელიძისა, მამიდა შვილებით და ქმრით აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 9 იანვარს სახალხო გვარდიელი

ვანო (ვანიჩკა) ლამბაქიძე

გამოსვენება მოხდება რუსთაველის პროსპექტი № 2 სახლი № 29. 11 იანვარს, დღის 2 საათზე. დასაფლავება ძმათა სასაფლაოზე. (130—1—1)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს თფილისში მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ სასანიტარო-სადეზინფექციო მატარებელმა დაიწყო მოქმედება ამ ჟამად თფილისში. მსურველთ შეუძლიანთ ისარგებლონ დილის 8 ს. საღამოს 8 საათამდე უფასო აბანოთი და აგრეთვე საცვლების და ტანისამოსის დეზინფექციით: მამაკაცებმა—პარასკევ-შაბათობით. დედაკაცებმა—ოთხშაბათ-ხუთშაბათობით. მატარებელი აბანო დგას დიდუბეში, სადაც თავდება ტრამვაის ლიანდაგი. დაწვრილებით შეუძლიანთ საჭირო ცნობები მიიღონ მთავარ სამმართველოს კანცელარიაში 26 მაისის ქ. № 60. (უფ. 3—2)

სახელმწიფო თეატრში

კვირას, 11 იანვარს, გაიმართება საბავშვო ჟურნალის „ჯეჯილის" 30 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად

დილა

I. ივ. გომართელი წაიკითხავს მოხსენებას
II. „მზეხა" საბავშვო პიესა გუნიას გადმოკეთებული 3 მოქმ. პიესაში მონაწილეობს გუნდი, ცეკვა.
III ბალეტი ქ-ნი პერინისა.
IV ქართული ცეკვა ბავშვებისაგან.

„დილას" ხელმძღვანელობს ელო ანდრონიკაშვილი
დასაწყისი დილის 12 საათზე.
(ნ. 2—2)

ერობისა, მუშათა არტელებისა და შინა მრეწველების კავშირებისათვის

დასაშალ-გადასატან სახლს, მებელს, ლოგინებს, კალაპოტებს, შპილკებს, ასანთის ღერებს და კოლოფებს და სხვადასხვა

ნივთების ჩასაწყობ უჯრებს

აწვდის სამებელო ფანერული ზავოდი

მ. ვ. არისტენკოსი

ბათუმში.

შეპელევსკის ქ., პუშკინის ქ. კუთხე. დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: ბათუმი, მოკითხვამდის. (127—1—1)

ექიმი ხარიტონ ამბროსის ძე

ცეხანოვსკი

საპიორნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.
ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს (606—914)
მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს.
(ო.—3423)

კომუნისტების წინადადება საქართველოს მთავრობისადმი

თოფ-ზარბაზანთან და ტყვია წამალთან ერთად ბოლშევიკები ბრძოლაში ფართოდ იყენებენ სიტყვიერ იარაღსაც. როდესაც რომელიმე რაიონს ბრძოლით მიუახლოვდებიან, ისინი წინასწარ ნოტებს და მოწოდებებს უგზავნიან მცხოვრებთ და ცდილობენ მათ თანაგრძნობა დაიმსახურონ. ჩვენ უკვე გავარჩიეთ ის „მოწოდება", რომლითაც ლენინმა მიმართა უკრაინელებს. კომუნისტებს ჩვენი მთავრობისათვისაც მოუმართავს „ნოტით", რომელსაც ბოლშევიკური რადიო ამნაირად გადმოგვცემს:

„რათა ბოლო მოეღოს საქართველოს და აზერბეიჯანის პოლიტიკის რყევას დენიკინთან ბრძოლის საქმეში, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა წინადადებით მიმართა საქართველოსა და აზერბეიჯანის მთავრობებს, რომ დადებულ იქნას სამხედრო ხელშეკრულება საერთო ძალით დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ".

ამნაირად საბჭოთა რუსეთი წინადადებას გვძლევს „სამხედრო კავშირი" შევკრათ დენიკინთან საბრძოლველათ. თუ საბჭოთა რუსეთს სამხედრო კავშირის შეკვრა მხოლოდ იმ მიზნით უნდა, რომ „საერთო ძალით დენიკინთან ვიბრძოლოთ", მარტო ამისთვის სამხედრო კავშირი სრულიად ზედმეტია, რადგან მას უნდა მოეხსენებოდეს, რომ საქართველო უკვე წლიწადზე მეტია, რაც დენიკინთან „ომის მდგომარეობაში" იმყოფება: წარსულ 1919 წლის განმავლობაში ორჯერ მოხდა დენიკინის ჯარის შემოჭრა ჩვენ ქვეყანაში და ორჯელვე უკუქცეულ იქნა ჩვენი გვარდიის და ჯარის მიერ. დენიკინთან ომი გვქონდა იმ დროსაც, როდესაც იგი ძლევამოსილი მიერეკებოდა კომუნისტთა ჯარებს, უკვე მოსკოვს მიუახლოვდა და თავს მთელი რუსეთის ბატონ პატრონად გრძნობდა. დღეს ჩვენ დენიკინის წინააღმდეგ სამი მხრიდან გვაქვს სამხედრო ფრონტი გამართული. ჩვენ ფაქტიურად ვებრძვით მას „სამხედრო კავშირის" შეუკვრელადაც. და რამდენათაც საქართველოს გავლენა ჰქონდა ამიერ-კავკასიაში, იგი ცდილობდა ყველა მეზობელ რესპუბლიკების პოლიტიკა დენიკინისაგან თავდაცვის საჭიროებისათვის დაექვემდებარებინა. მაშასადამე, კომუნისტების წინადადებას ამ მხრივ აზრი ეკარგება.

მაგრამ საბჭოთა რუსეთის ნოტას სხვა მხრივ აქვს პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა. მის სულის ჩამდგმელთა მთელი პოლიტიკა ამიერ კავკასიაში მუდამ იქით იყო მიმართული, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები როგორმე ჩაეთრიათ რუსეთის სამოქალაქო ომში და მცხოვრებნი გაეხვიათ საერთაშორისო ომის ალში. ამ მთავარ მიზნისაკენვე იყო მიმართული ადგილობრივ ბოლშევიკების ყოველი გამოსვლა, ყოველი ნაბიჯი. მათი ზრუნვის საგანი იყო საერთაშორისო „კომუნიზმის" ბედი და მის გამარჯვებისთვის ისინი მზათ იყვნენ მსხვერპლათ შეეწირათ ყოველი ერი.

ამ მთავარ პოლიტიკურ ხაზის განგრძობაა საბჭოთა რუსეთიდან გამოგზავნილი „ნოტა". მის ავტორებს მიზნათ აქვთ დასახული საქართველო გამოიყვანონ იმ წონა-სწორობიდან, რომელშიაც იგი იმყოფება დემოკრატიულ პოლიტიკის წყალობით, მისი ნავი გამოაცუროს შედარებით მყუდრო საყუდელიდან და გადისროლოს იგი საერთაშორისო მღელვარე ზღვაში.

რას მოგვიტანს ფორმალური სამხედრო კავშირი „კომუნისტურ" რუსეთთან? საბჭოთა რუსეთი ყველა დიდ სახელმწიფოებთან გადამტერებულია. მასთან კავშირის შეკვრა ნიშნავს დიდ სახელმწიფოებთან კავშირის გაწყვეტას, მასთან დამეგობრება უდრის ევროპასთან გადამტერებას. და რას ნიშნავს ევროპასთან გადამტერება, მასთან კავშირის გაწყვეტა, ეს აშკარაა ყოველ ჩვენ მოქალაქისათვის, ყოველ გლეხისათვის, ყოველ მუშისათვის. თუ პირდაპირს სამხედრო მოქმედებას არა, ეს ნიშნავს ისეთსავე მძაფრს ბლოკადს, როგორსაც ევროპის სახელმწიფოები აწარმოებენ დღეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ეს ნიშნავს შიმშილის ათჯერ გაზრდას, ეს ნიშნავს ჩვენ მცხოვრებთა გადაშენების გზაზე დაყენებას. შეიძლება, რუსეთის ას-მილიონიანმა ერმა ამ უბედურებას გაუძლოს, მაგრამ ჩვენი ორ-მილიონიანი ერი ამას ვერ გაუძლებს, წელში გატყდება და საბოლოოთ აღიგვება ქვეყნიდან. ბოლშევიკებს ასეთი შედეგი არ აშინებთ, რადგან ისინი ერს, როგორც ასეთს, არ უფრთხილდებიან, ერი მათთვის მხოლოდ საშუალებაა სხვა მიზნისათვის. ჩვენთვის კი ერის შენახვა უმაღლესი მიზანია, რადგან საბოლოო სოციალისტური მიზანი— სოციალიზმი, რომლისაკენაც ჩვენ მივილტვით, შეუძლებელია, თუ ერს არ შერჩა სასიცოცხლო ძალა.

როგორც ვხედავთ, ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის ძირითადი განსხვავებაა თვით მსოფლ-მხედველობაში. ჩვენი და მათი პოლიტიკური აზროვნება სულ სხვადასხვა ფარგალშია მოქცეული; ჩვენ და ისინი სულ სხვადასხვა აზროვნების ნიადაგზე ვდგევართ. ამისთანა ძალასთან რაიმე ფორმალური კავშირის შეკვრა ჩვენის მხრით დაუფიქრებელი და შეუწყნარებელი ნაბიჯი იქნებოდა, რადგან ჩვენ მეტათ დაშორებულნი ვართ ერთმანეთისაგან და დარწმუნებულნი არა ვართ, რომ დღევანდელი „მოკავშირენი" ხვალვე ზვარაკათ შეგვწირავენ კომუნისტურ ღმერთების სამსხვერპლოზე.

მაგრამ იქნებ ამ კავშირმა რაიმე პრაქტიკული, თუნდაც წუთიერი სარგებლობა მაინც მოგვიტანოს? იქნება, უბრალო ენით რომ ვთქვათ, კომუნისტებმა მოგვიტანონ ის „პური", რომლის ნაკლებობასაც ჩვენ განვიცდით? საჭიროა, რომ ჩვენ ხალხს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც დღეს მთელი რუსეთი იმყოფება: ოდესღაც პურის ქვეყანა—რუსეთი დღეს ათჯერ მეტათ არის დამშეული, ვიდრე ჩვენი საქართველო. გამუდმებულმა და გაუთავებელმა ომებმა ორი წლის განმავლობაში [illegible] დაუთესველი დასტოვა. რაც გლეხს წინანდელ მოსავლიდან გააჩნდა, დაიტაცეს ჯერ გერმანელთა ჯარებმა, შემდეგ პეტლიურას ჯარმა, ბოლშევიკების „წითელმა ლაშქრამ", დენიკინის „დობროვოლცებმა", დღეს ისევ ბოლშევიკების „წითელმა ჯარმა". რუს-გლეხს ათჯერ ტყავი გააძრეს და დღეს მას თითონ აკლია ლუკმა-პური. ბოლშევიკების მოსვლას არც ერთს კუთხისათვის არ მოუტანია ხსნა, პირიქით, ბოლშევიკების „წითელ არმიას" თან მოაქვს ის აუტანელი სიძვირე, რომელიც საბჭოთა რუსეთში მძვინვარებს: ცნობაა მოსული, რომ, თუ დენიკინის დროს ხარკოვში პური ღირდა გირვანქა 20 მან., „წითელ არმიის" შემოსვლისათანავე პურის ფასი „მოსკოვურ" სიმაღლემდის ავიდა და დღეს ხარკოვში პური ღირს 120—150 მანეთი.

„წითელ ჯარებს" არსად არაფერი „შეუტანიათ", ისინი მხოლოდ გაზიდვას არიან ჩვეულნი. ჩვენს ხალხს კი მათი „არც შემოტანილი უნდა, არც გატანილი".

კიდევ ბათუმზე

ბათუმის საკითხი ისევ ძველ მდგომარეობაშია. ის ისევ მოწყვეტილია საქართველოზე. „საქართველოს გასაღები" ისევ სხვის ხელშია და ეს ქმნის ათას გვარ დაბრკოლებას რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიურ საქმიანობაში. არა ერთი და ორი წერილი დაწერილა, არა ერთი და ორი დიპლომატიური ნაბიჯი გადადგმულა ბათუმის საკითხის საბოლოოთ გამოსარკვევათ, მარა, სამწუხაროთ, დღემდის ყოველივე ცდას ამ მხრით მიმართულს უშედეგოთ და უნაყოფოთ ჩაუვლია. თითქოს ყველა თანახმაა, რომ ბათუმი განუყოფელი და განუშორებელი ნაწილია საქართველოსი, თითქოს ყველა უწევს ანგარიშს, რომ მთელი ოლქი დაჟინებით ითხოვს მის საქართველოსთან შეერთებას. მარა ნამდვილათ კი არც ერთი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა ამ სურვილების ფაქტიურ ასრულებისათვის იმათგან, ვის ხელშიაც აგერ ერთ წელზე მეტია ბათუმის [illegible]. ეს უსამართლობა იმდენათ აშკარა შეიქნა, რომ ფრანგულმა ოფიციოზმა „ტანმაც" კი ვერ მოითმინა და გადაჭრით მოითხოვა ბათუმის საქართველოსთვის გადაცემას და მისი დღევანდელ მდგომარეობაში დატოვება ყოვლად შეუწყნარებლათ მიაჩნია. და თუ „ტანიც" კი ფიქრობს და სწერს ასე, რაღა უნდა ითქვას იმ წრეებზე, რომლებისათვის ყოველგვარი ანექსია, თუ გინდ „დროებითი", პრინციპიალურათ მიუღებელია. მარა, ის რაც სხვებისთვის პრინციპის და მაღალი იდეების საკითხია, ჩვენთვის ამ შემთხვევაში სამკვდრო სასიცოცხლო, საარსებო კითხვაა და მასზე კამათი და ამ კამათის დასრულებამდე ლოდინი წარმოდგენილ საშიშროებას გვიმზადებს. განსაკუთრებით დიდია ეს საშიშროება დღეს. ჩვენი ქვეყნისკენ ორი დიდი ტალღა დაგორდა. ის ერთი მეორეს მისდევს და ხან ერთი, ხან მეორე ლამობს შემოიჭრას და გადაგვლეკოს. ამ მხრივ ყველაზე მეტ მტკივნეულ ადგილს ბათუმი წარმოადგენ! ჩვენ არ გვაქვს გარანტია, რომ დაბოლოს ეს ჩვენი ქვეყნის გასაღები ჩვენი მტრების ხელში არ ჩავარდება და მისი კარებიდან სამტრო ძალები შიგ სახლში არ შემოიჭრება. ამიტომ ბათუმის საკითხი დღეს ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხია, ჩვენი დაცვის და გადარჩენის [illegible]. მისი ასეთ მდგომარეობაში დატოვება მუდამ საფრთხობელა, მუდამ ნერვიანობის და მღელვარების დაუშრეტელი წყარო იქნება. ჩვენ გვინდა ამ საბედისწერო ჟამს ამ მხრიდან მაინც დამშვიდებული ვიყოთ. ჩვენ არ გვაქვს უფლება ეს საკითხი საეჭვო მდგომარეობაში დავტოვოთ თუ გინდ ერთი დღითაც. დღევანდელი დღე არ გავს გუშინდელს. თუ გუშინ კიდევ შეგვეძლო გვეცადა კითხვის ბუნებრივი მსვლელობისათვის—დღეს ამას ვერ ვიზამთ. გვაჩქარებს და გვაიძულებს ვიჩქაროთ ჩრდილოეთის [illegible] შავი და წითელი ნიაღვარი. ბათუმი ის მილია, რომელიც ამ ნიაღვარს სხვა მიმართულებას მისცემს და ასე ქვეყნის დაცვის საქმეში საპატიო როლს ითამაშებს. ეს თითქოს შეიგნო „ტანმა", ეს უნდა შეიგნოს იმანაც, ვისაც ასეთი დიდი ადგილი უჭირავს ბათუმის საკითხის გადაწყვეტაში. უნდა შეიგნოს, რადგან ბათუმის საკითხის სათანადოთ მოგვარება—არის იმავე დროს იმ ინტერესების დაცვა და უზრუნველყოფა, რომელსაც აღმოსავლეთში ისახავენ ბათუმის დღევანდელი გამგენი.

თუ დღემდის ბათუმის ბედი სამართლიანობის საკითხი იყო დღეს ის უფრო მეტათ პოლიტიკურია და მისი საბოლოოთ გადაჭრა გადადებას არ ითმენს, ჩვენ ვიცით და ვუცდით მის საქართველოთ გადაჭრას.

განი.

პრესა

ამ დღეებში ტფილისში გამოვიდა სომხურ ენაზე გაზეთი „პაპაკი". მეშვიდე ნომერში გაზეთი ეხება რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინადადებას საქართველოს და აზერბეიჯანის მიმართ დენიკინის წინააღმდეგ კავშირის შეკვრის შესახებ და, სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„თუ რას უპასუხებენ საქართველოს და აზერბეიჯანის მთავრობები საბჭოთა რუსეთის ამ პატიოსან წინადადებაზე, ჩვენ არ ვიცით. ახლო მომავალი დაგვანახვებს, თუ რანაირია მათი პასუხი: დადებითი თუ უარყოფითი. რამდენათაც ამ მთავრობათა ოფიციალურ ორგანოების განცხადებებიდან სჩანს, სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ პასუხი არ იქნება დადებითი.

„საქართველოს და აზერბეიჯანის მთავრობებს სურთ რუსი პროლეტარის ხელით ნარი ჰგლიჯონ. იმათ უნდათ რუსის მუშის და გლეხის სისხლით უზრუნველჰყონ თავიანთი არსებობა. მათ ძალიან კარგათ იციან, რომ დენიკინი ევროპიული იმპერიალიზმის ნების ამსრულებელია და ამ იმპერიალიზმთან ვერ შესძლებენ შესწყვიტონ კავშირი თავიანთი ბურჟუაზიული არსების მიზეზით. ვინ დაზარალდება საქართველოს და აზერბეიჯანის მთავრობათა ასეთი პოლიტიკით? ცხადია, მხოლოდ ქართველი და თათარი მშრომელი ხალხი და გლეხობა, აი ამ კლასების წმინდა მოვალეობაა თავიანთი ხმა აღიმაღლონ რევოლიუციონური რუსეთის სასარგებლოთ და ხელი გაუწოდონ საბჭოთა ძალა-უფლებას საერთო ძალებით დაამსხვრიონ შრომელი ხალხის და პატარა ერების მტერი — დენიკინის კონტრ-რევოლიუციონური ბრბოები. საქართველოს და აზერბეიჯანის მუშა და გლეხობა უნდა დარწმუნდეს, რომ ხსნა მხოლოდ საბჭოთა რუსეთის გამარჯვებაშია. და ამ გამარჯვების მოახლოვებისათვის საჭიროა შეერთება საერთო რევოლიუციონურ მოძრაობასთან და ახალი ძალის მიცემა წითელ ჯარისთვის.

დღემდე ამიერ-კავკასია იყო კედელი საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის ერებს შორის. დენიკინის დამარცხებით და ამიერ კავკასიის მუშების ნებით ამიერ-კავკასია გახდება ოსმალეთის რევოლიუციის ციხე-სიმაგრეთ".

როგორც ხედავთ, გაზეთის აზრით რუსეთსა და ოსმალეთის ერებს შორის „გარდუვალი კედელი" ყოფილა ამიერ-კავკასია. ასე რომ, დენიკინის დამარცხებასთან ერთად საბჭოთა ჯარები მოადგება ამ კედლის გასარღვევათ. ესაა ბოლშევიკების იდეა და ამ იდეის სომხურ მასსაში გავრცელება, როგორც სჩანს, უკისრნია გაზეთს. რომ ბოლშევიკების მიზანია ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს ოსმალეთის რევოლიუციის „ციხე-სიმაგრეთ" გადაქცევა, ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცით, მაგრამ საქართველოსთვის და საერთოდ ამიერ-კავკასიის ერებისთვის ეს იქნებოდა არა რევოლიუციის ციხე-სიმაგრე, როგორც „პაპაკს" ჰგონია, არამედ—უდიდესი რეაქცია, რომელიც დაღუპავდა ყველა პატარა ერებს და მათ შორის სომხებსაც.

ნუ თუ ეს არის „პაპაკის" მიზანი და მოწოდება?

სავალდებულო დადგენილება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა თავისუფალ მიწების იძულებითი დათესვის შესახებ 1920 წ.

1920 წლის იანვრის 6.

1919 წელში მოუსავლობის გამო და მომავალში სურსათის კრიზისის თავი

დღეს

ემირ ფაიკალსა და საფრანგეთს შორის შეთანხმება მოხდა. ემირი სცნობს სირიაზე საფრანგეთის პროტექტორატს. საფრანგეთი კი, სცნობს არაბულ სახელმწიფოს კონსტიტუციას.

იტალია-ინგლისს შორის მოლაპარაკება გრძელდება.

უნგრეთის საზავო დელეგაცია პარიზს ჩავიდა.

ინგლისის და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელნი ბოლშევიკების ცნობით, ორ კვირაში საბოლოოთ შეთანხმდებიან სამხედრო და სამოქალაქო ტყვეების გაცვლის საკითხში.

ბოლშევიკების ცნობით: საბჭოთა ჯარმა კრასნოიარსკი აიღო; ოდესა გარშემორტყმულია აჯანყებულ უკრაინელებით; ბოლგარიაში გაფიცვებია. ამერიკაში თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის დამოკიდებულება გამწვავდა. კორეაში იაპონიის საწინააღმდეგო ამბოხება მოხდა; ტიბეტი დამოუკიდებლობას მოითხოვს.

დან ასაცილებლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობა საჭიროდ სცნობს გამოსცეს შემდეგი სავალდებულო დადგენილებანი:

1) ყველა თავისუფალი მიწა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მესაკუთრისა, რომელიც გამოსადეგია დასათესად გაზაფხულის ჭირნახულით (яровыми культурами) აუცილებლივ უნდა დაითესოს 1920 წლისათვის.

2) მიწის მესაკუთრენი ვალდებულნი არიან დათესონ თავისი მიწები საკუთარი ძალით, ან გასცენ იჯარით.

3) თუ მესაკუთრენი რაიმე მიზეზის გამო არ დათესენ თავის მიწებს, ამ შემთხვევაში ადგილობრივ ერობათა დაწესებულებანი იჯარით გასცემენ აღნიშნულ მიწებს მსურველზე.

შენიშვნა: არ უნდა დაითესოს ის მინდვრები, რომლებიც ადგილობრივ პირობების მიხედვით მუდამ რჩებოდენ დაუთესავი, როგორც, მაგალითად: სათიბები და საძოვრები, რომელნიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ ადგილობრივ მეურნეობისათვის.

4) მთელი მოსავალი გაზაფხულის ნათესის იჯარით გაცემულ მიწებიდან ერგება მოიჯარადრეს ერთი მეათედის გარდა, რომელიც იჯარის სახით ეძლევა მიწის მესაკუთრეს.

5) ამ სავალდებულო დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება: ა) საფონდო და კერძო მესაკუთრეთა მიწების შესახებ—სამაზრო და სათემო ერობებს; ბ) დანარჩენ სახელმწიფო მამულების შესახებ—გადასახლების რაიონების უფროსებს, სახელმწიფო და ეროვნულ მამულების მოურავებს და აგრეთვე ტყის გამგეებს.

6) მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებანი და ერობები ვალდებულნი არიან შეძლების დაგვარათ გაუწიონ დახმარება, ვისაც ჰქირს, თესლით და სასოფლო სამეურნეო იარაღებით.

7) გაზაფხულის ჭირნახულით დასათეს მიწების კერძო მესაკუთრენი და მოიჯარადრენი, რომელთაც მიიღეს დათესვის ვალდებულება და არ შეასრულეს ერობისგან დანიშნულ ვადაზე, გარდა სამოქალაქო პასუხისმგებლობისა პირობების დარღვევისათვის დაისჯებიან თანახმათ სასჯელთა დებულების მე-29 მუხ., რომელსაც უსჯიან მომრიგებელი მოსამართლენი.

ეს სავალდებულო დადგენილება მიღებულია მთავრობის მიერ 7 იანვრის სხდომაზე.

მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი.

ინსტრუქცია

მთავრობის სავალდებულო დადგენილების გამო თავისუფალ მიწების იძულებითი დათესვის შესახებ.

სავალდებულო დადგენილება ყველა ცარიელ მიწების აუცილებლათ დათესვის შესახებ გამოწვეულია გასული წლის მოუსავლობით და მიზნათ აქვს შეასუსტოს სასურსათო კრიზისი მომავალ სამეურნეო წელს, რისთვისაც მიმდინარე წელს აუცილებლად უნდა დაითესოს ყველა თავისუფალი მიწა ყანეულით (გაზაფხულის პურით). ამიტომ მთავრობის სავალდებულო დადგენილებას დროებითი ხასიათი აქვს და მიზნათ სრულებით არ ისახავს საადგილ-მამულო ურთიერთობის საზოგადოდ მოწესრიგებას.

პირებმა და დაწესებულებებმა, რომელთაც დავალებული აქვთ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარება, უნდა ერიდონ სოფლის ეკონომიურ წყობილებაში ნაუცბათევათ ძირითადი ცვლილებების შეტანას, მაგრამ ამასთან ერთად ფხიზლათ უნდა ადევნონ თვალყური, რათა დაუთესავი დარჩეს მხოლოდ ის კულტურული მიწები, რომელიც საჭირო და აუცილებელია სანახიროთ და სათივეებათ, ან და დანიშნული არიან უფრო ძვირფასი მცენარეების მოსაშენებლათ, როგორც არის თამბაქო და სხ. სხვა მიწები აუცილებლათ უნდა დაითესოს პურით, სიმინდით, ქერით და ბოსტნეულით.

სავალდებულო დადგენილების განხორციელების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგით:

1) საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი ფონდისა და კერძო პირთა მიწების სავალდებულოთ დათესვის საქმეში ენდობა სამაზრო ერობებს, ხოლო გამორკვევა ცარიელი მიწებისა, მათი განაწილება მოიჯარადრეთა შორის და ყურის გდება იმისთვის, რომ მამულის პატრონებმა და მოიჯარადრეებმა დაკისრებული ვალდებულებანი შეასრულონ, და აგრეთვე ღალის აღება მოსავლის ერთი მეათედის სახით ევალება სათემო ერობებს, ხოლო, სადაც ისინი არ არიან, განსაკუთრებულ კომისიებს, რომელთაც აირჩევენ სოფლის საზოგადოებანი და დაამტკიცებენ სამაზრო ერობანი.

2) სავალდებულო დადგენილებისა და ამ ინსტრუქციის გამოქვეყნებისთანავე სამაზრო საერობო გამგეობებმა სათემო ერობების ან, სადაც უკანასკნელნი არ არიან, განსაკუთრებული კომისიების შემწეობით უნდა გამოარკვიონ: ა) სად და რამდენი ცარიელი (დაუთესავი) მიწაა, ბ) აქვს თუ არა მათ პატრონს საკმაო თესლი, სამეურნეო იარაღები და მუშა საქონელი და გ) დათესენ თუ არა თითონ, ან თავის ნებით მსურველებზე იჯარით გასცემენ ამ მიწებს.

3) სამაზრო საერობო გამგეობანი აწესებენ საბოლოო ვადას, რომლის განმავლობაში მიწების პატრონებმა განცხადება უნდა შეიტანონ სათემო ერობაში ან სადაც ასეთი არ არის, განსაკუთრებულ კომისიებში. ვინც ამ ვადაში განცხადებას არ წარმოადგენს, მათი მიწები ითვლება ერობათა ან კომისიების განკარგულებაში გადასულათ და იჯარით მიეცემათ ამ უკანასკნელთა მიერ მსურველებს.

4) სამაზრო საერობო გამგეობანი აწესებენ უკანასკნელ ვადას, რომლის განმავლობაში აუცილებლად უნდა დაითესოს მიწები მესაკუთრეთა ან მოიჯარადრეთა მიერ. თუ ამ ვადაში მიწა არ დაითესა ან და არ არის იმედი, რომ მას მოიჯარადრე ან პატრონი დათესავს, ამ შემთხვევაში სათემო ერობა მას სხვას აძლევს დასათესათ.

შენიშვნა: ვადა ისეთი უნდა დაწესდეს, რომ შესაძლებელი გახდეს მიწის დამუშავება სხვა პირის მიერ, თუ მესაკუთრე ან მოიჯარადრე არ დაამუშავებს.

5) სამაზრო საერობო გამგეობანი ეხმარებიან თემებს ან განსაკუთრებულ კომისიებს მცხოვრებთათვის თესლისა და სამეურნეო იარაღების მიწოდების საქმეში.

6) თუ გამოირკვა, რომ რომელიმე ადგილას ცარიელი მიწები არ შეიძლება დამუშავებულ იქნას ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ, სამაზრო ერობები სათემო ერობებთან და განსაკუთრებულ კომისიებთან ერთად, ვალდებულნი არიან ან თითონ დათესონ ეს ადგილები, ან მიიწვიონ ცალკე მოიჯარადრენი და წვრილ მეურნეთა არტელი რესპუბლიკის სხვა ადგილებიდან.

7) ყოველ-გვარ საჩივრებს თემებისას ან განსაკუთრებული კომისიების მოქმედების შესახებ იხილავენ საჩქაროთ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს სამი დღისა, განცხადების მიღების შემდეგ, სამაზრო ერობანი და მათი დადგენილებანი საბოლოო გადაწყვეტილებათ ითვლება.

8) სამაზრო და სათემო ერობანი ვალდებულნი არიან დამნაშავენი პასუხისგებაში მისცენ, თანახმად სავალდებულო დადგენილების მე-7 მუხლისა.

9) სამაზრო ერობათა გამგეობანი თვალყურს ადევნებენ თემების ან მათ მაგიერ არსებულ საგანგებო კომისიების მუშაობას მოიჯარადრეთაგან ღალის შეგროვებაში.

10) თემები ან, სადაც ისინი არ არსებობენ, საგანგებო კომისიები მთავრობის სავალდებულო დადგენილებას და ამ ინსტრუქციას ფართოთ აცნობენ მცხოვრებლებს. აგრეთვე ერობების მიერ დანიშნულ ვადებსაც, რომელიც ნახსენებია ამ ინსტრუქციის 3 და 4 მუხლებში.

11) თემები ან, საგანგებო კომისიები: ა) არკვევენ გამოკითხვით ან ადგილობრივ გაცნობით თავისუფალ მიწების რაოდენობას, რომელიც კი გაზაფხულის სათესათ არის გამოსადეგი და მათი დათესვით სოფლის მეურნეობას არავითარ ზარალს არ მიაყენებს. ბ) ღებულობენ ცალიერ მიწის პატრონებისაგან განცხადებებს, თანახმანი არიან ისინი თითონ დაამუშაონ თავისუფალი ნაჭრები თუ იჯარით გასცენ, გ) ღებულობენ მოიჯარადრეთაგან განცხადებებს და ანაწილებენ მათ შორის თავისუფალ ნაჭრებს, დ) ხელწერილს ართმევენ მესაკუთრეთ ან მოიჯარადრეებს იმის შესახებ, რომ ისინი ვალდებულნი არიან დანიშნულ ვადაზე დაამუშაონ და დათესონ თავისუფალი ნაჭრები, ე) თვალყურს ადევნებენ მესაკუთრეთ და მოიჯარადრეთ ასრულებენ ისინი თუ არა ნაკისრ ვალდებულებას, ვ) იმ მოიჯარადრეებს, რომელნიც არ ასრულებენ ვალდებულებას, ართმევენ მიწას და სხვას აძლევენ იჯარით, და ზ) სახელმწიფო მამულების მოიჯარადრეებს ახდევინებენ იჯარას.

მიწათ-მოქმედების მინისტრი ხომერიკი.

საერობო თვითმართველობებს.

ოთხი წლის საშინელმა მსოფლიო ომმა ძირიან ფესვიანად შეარყია მთელი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება; მან სჩანთქა კულტურული კაცობრიობის ხანგრძლივი შრომით შექმნილი სიმდიდრე. წარმოება მეურნეობის ყველა დარგში საშინლად შემცირდა, მიმოსვლისა და გადაზიდვის საშუალებანი განადგურდა, აღებ-მიცემობა დაეცა, ქვეყანა გაღატაკდა. დღეს ევროპა საშინელი ეკონომიურ კრიზისის წინაშე დგას და ამ კრიზისის შედეგებს მწვავედ გრძნობს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა. მისთვის ეს კრიზისი გაცილებით უფრო ძნელი ასატანია, ვინემ სხვა ქვეყნებისათვის. საქართველომ ძველი წყობილებისაგან მიიღო ძლიერ ცუდი მემკვიდრეობა. სუსტი, განუვითარებელი მრეწველობა, თითქმის პირველ ყოფილი სასოფლო მეურნეობა, მიმოსვლისა და ტრანსპორტის საშუალებათა უქონლობა, აი, რა ახასიათებს საქართველოს მდგომარეობას დღეს. თითქმის ყველაფერი უცხოეთიდან გვაქვს შემოსატანი მაშინ, როცა გასატანი ძლიერ ცოტა მოგვეპოვება. ასეთ პირობებში ქვეყანა ვერ იარსებებს. ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება, მთელი ჩვენი ენერგია იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ბევრი ჩვენი მოთხოვნილება საკუთარი ქვეყნის ნაწარმოებით დავიკმაყოფილოთ. მართ ჩვენ კიდევ დიდ ხანს იძულებული ვიქნებით საფაბრიკო და საქარხნო ნაწარმოები უცხოეთიდან შემოვიტანოთ. ასეთ პირობებში თუ პურიც შემოსატანი დაგვირჩა, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი იქნება და ის ვერასოდეს ვერ დააღწევს თავს ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისს. ჩვენ კი შეგვიძლია საკმაო პური მოვიყვანოთ, თუ სათანადო ზომები იქნება მიღებული. 1918 წლის მოსავალმა დაარჩინა ქვეყანა, გასული წლის მოსავალიც ეყოფოდა საქართველოს, რომ ცუდ ამინდებს ნათესი არ წაეხდინა. ეს იმას ამტკიცებს, რომ შეგვძლია საკუთარი პურით ქვეყნის გამოკვება.

ამიტომ მთავრობისა და ადგილობრივი თვითმართველობების მოვალეობაა ხელი შეუწყონ მინდვრების დამუშავებას და ნათესის გამრავლებას. ამ მიზნით მთავრობამ გამოსცა სავალდებულო დადგენილება,—რომლის ცხოვრებაში გატარება საერობო თვითმართველობებს ევალება.

მეტი პურის მოყვანა, საკუთარი მოსავლით ქვეყნის დარჩენა, ეს უნდა გახდეს დღევანდელი დღის ლოზუნგათ. არც ერთი ნაჭერი მიწა, რომელიც სხვა რომელიმე აუცილებელი საჭიროებისათვის არ არის დანიშნული, დაუთესავი არ უნდა დარჩეს.

გზავნით რა მთავრობის სავალდებულო დადგენილებას და ინსტრუქციას მის ცხოვრებაში გატარების შესახებ, გთხოვთ ეხლავე ფართოთ გააცნოთ ის მცხოვრებლებს და წვრილი საერობო ერთეულების შემწეობით დაჩქარებით მიიღოთ ზომები, რათა სავალდებულო დადგენილების მოთხოვნილებანი შეუსრულებელი არ დარჩეს.

ქვეყნის სერიოზული მდგომარეობა გვავალებს უდიდესი ყურადღება მივაქციოთ სასურსათო საკითხების მოწესრიგებას. ხსენებული სავალდებულო დადგენილება ერთი ზომათაგანია სასურსათო კრიზისის შესამცირებლად. ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ საერობო თვითმართველობანი არ დაზოგავენ თავის ძალას და ღონეს ამ დიდი საქმის მოსაგვარებლად, რითაც ხელს შეუწყობენ რესპუბლიკისა და თავისუფლების განმტკიცებას. მიწათ-მოქმედების მინისტრი ხომერიკი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშითი სააგენტო)

10 იანვარი.

ფრანსუზული პრესის ცნობები.

უნგრეთის საზავო დელეგაცია იაპონიის თავმჯდომარეობით დღეს ჩამოვიდა პარიზში.

„ტანი" იტყობინება: საფრანგეთსა და ემირ ფაიკალს შორის შეთანხმება მოხდა. ემირი სცნობს მთელ სირიაზე საფრანგეთის პროტექტორატს. საფრანგეთი თავის მხრივ სცნობს არაბულ სახელმწიფოს კონსტიტუციას. სახელმწიფოს მართავს ემირი ფრანგი მრჩევლების დახმარებით. ბექაას ოლქში წესრიგს დაიცავს არაბეთის ჟანდარმერია ფრანგი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით. ფინანსიურ-ეკონომიურის მხრივ ახალ სახელმწიფოს დახმარებას უწევს მარტო საფრანგეთი.

გაზეთები გადაჭრით ამბობენ, რომ საპარლამენტო ჯგუფები რესპუბლიკის პრეზიდენტათ კლემანსოს წამოაყენებენ. პალატაში ფიქრობენ, რომ კლემანსო პირველ კენჭის ყრაზე 700 ხმაზე არა ნაკლებს მიიღებს.

ოთხშაბათს უმაღლესი საბჭოს სხდომა არ ყოფილა. იგი არ შემდგარა არც ხუთშაბათს, რადგანაც ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარე კრაუ ინფლუენციით ავად გახდა და ლოიდ-ჯორჯი და ნიტი ლონდონიდან იმ დროს უნდა დაბრუნებულიყვნენ, როდესაც უკვე გვიან იქნებოდა სხდომის დანიშვნა. ოთხშაბათს კომისიამ ლეროინის თავმჯდომარეობით განიხილა დეტალები საოკუპაციო ოლქებისა, სადაც პლებისციტი უნდა მოხდეს. ალბათ, მსჯელობა ამის შესახებ გაგრძელდება ხუთშაბათსაც და შეიძლება კიდევ რამდენიმე დღესაც გასტანოს. მეორე საზავო კონფერენციის გამო 23 კაცისაგან შემდგარი ინგლისის დელეგაცია ოთხშაბათ საღამოს პარიზში ჩამოვიდა.

იტალია - ინგლისის მოლაპარაკება. ოთხშაბათს ლოიდ ჯორჯისა და ნიტის შორის მოლაპარაკება გაგრძელდა. საქმესთან კარგათ გაცნობილი წრეების აზრით ამ მოლაპარაკებათა შედეგი დამაკმაყოფილებელია და მოსალოდნელია საბოლოო გადაწყვეტილებათა გამოტანა. იუწყებიან: ორივე დელეგაცია, ინგლისისა და იტალიის ხუთშაბათ დილით წავა პარიზში საზავო კონფერენციაზე. ინგლისის დელეგაციაში შედიან: ლოიდ ჯორჯი, ლორდ კარზონი, ბონარ ლოუ, მონტეგიუ, სერ მორის ჰანკეის, ლორდ რიდელი და ჟერი მდივანი.

ემირ ფაიკალმა ოთხშაბათ საღამოს დასტოვა პარიზი და იგი სირიაში გაემგზავრა თავის ადიუტანტისა, თავის მრჩევლებისა და ფრანგ პოლკოვნიკ დულის თანხლებით. ხუთშაბათს იგი ტულონიდან გემ „ვალდეკ რუსოთი" გაემგზავრება. ოთხშაბათს წასვლის წინ კლემანსომ მიიღო ემირი ფაიკალი. ამ შეხვედრას დაესწრო საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ განყოფილების დირექტორი ბერტელო.

ვენიდან იუწყებიან: მომავალ კვირაში ანტანტის კომისია დაიწყებს თავის სხდომებს სხვა და სხვა ტეხნიკური საკითხების მოსაწესრიგებლად და მათ შორის ტრანსპორტის საკითხისა და ყოფილ ავსტრო-უნგრეთის მონარქიაში აღმოცენებულ სახელმწიფოთა შორის ორთქმავლებისა და ვაგონების განაწილების საკითხის მოსაგვარებლად. სხდომებში მონაწილეობას მიიღებენ ჩეხო-სლოვაკიის სამხრეთ სლავიისა და უნგრეთის წარმომადგენლები. იმედი აქვთ, რომ მოკლე დროში ნორმალური მოძრაობა დაიწყება ყველა გზებზე, რომლებიც კი ვენაში მიდის.

ტულონიდან იუწყებიან: ის პირი, რომელსაც დავალებული აქვს კატაროში მყოფ და საფრანგეთისათვის გადაცემულ ავსტრიის გემების დაცვის ორგანიზაცია, ხუთშაბათს კატაროში გაემგზავრება. გადაცემულია სულ 10 გემი.

კლემანსო, ლოიდ ჯორჯი, ლორდ კარზონი, ბონარ ლოუ, ნიტი, შალოია, მატცუი და შეერთებულ შტატების ელჩი უოლესი დღეს პირველათ შეიკრიბენ ფიუმეს საკითხის შესახებ. შესაძლებელია ლოიდ ჯორჯი საფრანგეთში დარჩეს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევამდე.

შაბათს 4 საათზე ფონ-ლერსნერი და ფონ-სიმსონი საგარეო საქმეთა სამინისტროს დარბაზში ხუთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თანადასწრებით ხელს მოაწერენ 1 ნოემბრის ოქმს და ამით გათავდება დროებით ზავის რეჟიმი. ამის შემდეგ კლემანსო მათ გადასცემს ოქმს, რომლითაც მოკავშირენი თანახმანი არიან შეამცირონ საზღვაო მასალის რაოდენობა, რომელსაც სკაპა-ფლოში დაღუპულ ფლოტის ასანაზღაურებლათ თხოულობენ.

შემდეგ 13 სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომელთაც ვერსალის საზავო ხელშეკრულება დაადასტურეს, გერმანიის დელეგატებთან რატიფიკაციებს გასცვლიან. საზავო ხელშეკრულება იმ წამშივე ძალაში შევა და კვლავ განახლდება გერმანიასთან დიპლომატიური მოლაპარაკება. საფრანგეთი გერმანიაში გაგზავნის თავის რწმუნებულს.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. იან. 9. ჩვენ ავიღეთ ბერდიანსკი, მარიუპოლი, ტაგანროგი და ნოვოჩერკასკი. ვუცდით როსტოვის აღების ამბავს. დენიკინის ჯარების დამსხვრეული ნაწილები კავკასიისაკენ გარბიან. მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის უკანასკნელი საფუძველი დაინგრა. მუშებმა და გლეხებმა პირველად გაიმარჯვეს. ჯარი მიდგა მეორე და საბოლოო გამარჯვებაზე. უნდა მოხდეს ბრძოლა დარღვეული სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად, ბრძოლა შიმშილისა და სიცივის წინააღმდეგ. რაც შეიძლება მეტი პური, რაც შეიძლება მეტი შეშა, ნახშირი, ლურსმები, ორთქმავლები, მანქანები, საპონი. ნაქსოვი, ფეხსაცმელები, აი რა უნდა ვიშოვოთ. ყველაფერი ეს ჩვენ უნდა წავართვათ ჩვენ უორგანიზაციობას, სიზარმაცეს, მოუწყობლობას, ამოვგლიჯოთ მიწას, ტყეს და მადნეულობას. სამხედრო ცნობები. იან. 9. იაკობშტატის მიმართულებით სასტიკი ომი სწარმოებს. დვინსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი ბრძოლით წინ მიიწევს. მოზირის რაიონში, დაბა სკრიგალოვსთან ომი ჩვენდა სასარგებლოდ სწარმოებს. ჩვენ სად. ჟმერინკა ავიღეთ. მელიტოპოლის ჩრდილოეთით 50 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ჩიგირინის რაიონში დაბა ივანგოროდი ავიღეთ. სადგურ ცარეკონსტანტინოვკის აღების დროს ხელთ ვიგდეთ 7 ეშელონი, რომელთაგან ერთი სანიტარული სამედიცინო პერსონალის შემადგენლობით. სადგ. აბგანეროვის მახლობლათ ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა 700 ტყვე წამოიყვანა, რომელთა რიცხვში ბევრი ოფიცრებიც არის. 7 იანვარს ჩვენმა ჯარმა ქალ- კრასნოიარსკი აიღო. მტრის პირველის, მეორესი და მესამე ლაშქრის ნაშთი დაგვნებდა. ჯერ დათვლილია მხოლოდ 60,000 ტყვე და დიდძალი სამხედრო დავლა.

ტაიგა. 1 იანვარი. ირკუტსკიდან მიღებულ ცნობით პოლკოვნიკმა პეპელიაევმა კოლჩაკი დაატუსაღა. პეპელიაევმა კოლჩაკს უბრძანა საქმეები ჩააბაროს.

ომსკი. 2 იან. კოლჩაკელების მიერ მდინარე ობზე ორი მხრით აფეთქებული ხიდი უკვე შეკეთებულია. ხიდზე მოძრაობა აღდგენილია. ნიკოლაევსკში 5,000-მდე ტყვე ჯარისკაცი და ოფიცრებია. ქალაქი გამოქცეული ბურჟუებით არის ავსებული. მდ. ობზე თეთრებმა 15 გემი დასტოვეს.

ეკატერინბურგი. იანვ. 6. ცდილობ-ბრევი პარიჟში ხერები კავშირი აწყობს თმის კრეჭის კვირას, რომ წითელ მოლაშქრეებს თმა გაკრიჭონ. 6 ჟენე. იანვ. 6 ბოლგარიის სატახტო ქალაქ სოფიაში სისხლისმღვრელი უწესოებები ხდება. ათასეული ბრბო სასახლისკენ გაემართა ძახილით „ძირს კაროლი" მთავრობის ჯარმა ბრბოს ტყვია დაუშინა. მოხდა ხელჩართული ბრძოლა.

ნაუენი. იანვ. 7- ბოლგარელმა გაფიცულებმა სოფიასა და ვარნას შუა რკინის გზის ხიდი ააფეთქეს. ნაუენი. იან. 7: კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ ინგლისის წარმომადგენელი ო. გრედი და ლიტვინოვი ორ კვირაში საბოლოოდ შეთანხმდებიან სამხედრო და სამოქალაქო ტყვეების გაცვლის საკითხში.

ლიონი. იან. 7 კოპენჰაგენში 2 შვედი დელეგატი მოვიდა შვეციელ სამოქალაქო ტყვეების საკითხზე მოსალაპარაკებლათ.

იურიევი. იან. 6. ამერიკაში შავკანიანებსა და თეთრკანიანებს შორის ბრძოლა გამწვავდა. ევროპიდან დაბრუნებული ნეგრი ჯარისკაცები უფლებებში გათანასწორებას თხოულობენ. ყოველ წუთში შეტაკებებია მოსალოდნელი.

ომსკი. დეკ. 19 ტიბეტში ამბოხებამ იფეთქა. მცხოვრებლები მოითხოვენ ტიბეტს პოლიტიკური დამოუკიდებულობა მიენიჭოს.

ლიონი. იანვ. 6 კორეაში იაპონიის წინააღმდეგ ამბოხება მოხდა. ყოფილ კოროლის ვაჟი კორეის დაჭერილია.

ხერსონი. იანვ. 5. ოდესა აჯანყებულ უკრაინელებით არის გარშემორტყმული. ს. ც. კ. პრეზიდიუმი ადგილობრივათ მომუშავე წევრებს მიმართავს წინადადებით, რომ მათ რაც შეიძლება მეტი სერიოზული ყურადღება მიაქციონ სათბობი და სატრანსპორტო მასალის კრიზისს და მთელი ძალღონე სიცივესთან ბრძოლას მოანდომონ.

სამხედრო სამინისტროში

ბრძანება რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების მიმართ.

(31 დეკემბერი 1919 წ. ქ. თფილისი.)

ვშორდები რა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, როგორც მათი უშუალო ხელმძღვანელი, ვალდებულათ ვსთვლი ჩემს თავს გამოუცხადო ღრმა, გულწრფელი მადლობა ყველა იმ პირთ, რომელნიც მეხმარებოდნენ და ხელს მიწყობდნენ ჯარის შექმნა-გამტკიცების ფრიად მძიმე და მეტის-მეტად საპასუხისმგებლო საქმეში.

ქართველი ერის განახლებული ცხოვრება და მისი თავისუფლების უზრუნველყოფა მოითხოვდა არსებულ რეგულიარული ჯარის ჩვენი მდგომარეობის მიხედვით გადახალისებას და მისი საომარ ძლიერების უმაღლეს წერტილამდის აყვანას. აუცილებელი გახდა ჯარის რეორგანიზაციის ცხოვრებაში გატარება, ჯარის ყოველ ნაწილებში კულტურული მუშაობის გაშლება და სამხედრო მზად ყოფნის გაორკეცებული ენერგიით მომზადება. მძიმე და ძნელი იყო ყოველივე ამის მიზანშეწონილათ შესრულება, მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ იძულებული ვიყავით გვემოქმედნა ირგვლივ გარეშე მტრებისა და ბნელი ძალებით მოწყობილ შინაური [illegible] წინააღმდეგ, ჯარის [illegible] ყოველივე ამან და დაასრულა თავისი მოწყობა-გადახალისება: დღეს ჯარის ყველა ნაწილები უკვე მოთავსებულია თავიანთ მუდმივ ბინებში და აწარმოებს სისტემატიურად გაძლიერებულ სამხედრო და კულტურულ მუშაობას. ყველა ამ სიძნელესთან ერთად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეგულიარული ჯარი სავსებით შეუსისხლხორცდა რევოლიუციის მონაპოვართა ნამდვილ დარაჯს—სახალხო გვარდიას და ამით სამუდამოთ მოესპო საშუალება ყველა პროვოკატორს ქართველი ერის ცხოვრების საწინააღმდეგო მუშაობის წარმოებისა. და ყოველივე ამ აღნიშნულ სიძნელეთა გადალახვა და მძიმე საქმის გამარჯვებით დაგვირგვინება აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ ოფიცრების თავდადებულ მუშაობა—ენერგიით და ჯარის კაცთა მიერ თავიანთ მოვალეობის სრული შეგნებით და სიყვარულით ასრულებით.

კერძოთ უღრმეს მადლობას ვსწირავ სახელოვან სახალხო გვარდიას და მის ხელმძღვანელთ, რომლებმაც დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის უმწიკვლო და განუსაზღვრელ სამსახურის მაგალითის მოცემით და ყოველმხრივი დახმარებით ხელი შეგვიწყო ჩვენს მძიმე მუშაობაში.

აგრეთვე მთელი გრძნობით ვემშვიდობები იმ ძვირფას და ერთგულ ჯარის ნაწილებს, რომლებიც დღეს იმყოფებიან ფრონტზე და, მიუხედავათ ყოველგვარი გაჭირვებისა, სისხლით იცავენ ულმობელ მტრებისაგან ჩვენი ერის არსებობა-დამოუკიდებლობას და მის დიად თავისუფლებას.

ვსტოვებ-რა სამხედრო მინისტრის თანამდებობას, ერთხელ კიდევ მხურვალე მადლობას ვუძღვნი ყველა გენერლებს, შტაბ და ობერ-ოფიცრებს და ჯარის კაცთ მათი რესპუბლიკის საკეთილდღეო მუშაობა მოქმედებისთვის. ამავე დროს ბედნიერათ ვგრძნობ თავს, რომ მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, მომავალში უფრო მეტი საშუალება მექნება მთელი თავისი ენერგიით ხელი შევუწყო ჯარის შევსებას და შინაური მდგომარეობის გაჯანსაღებით საომარ ასპარეზზე ყოფნის დროს ჯარის ზურგის გამტკიცებას და მისი გამარჯვების გაადვილებას.

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში სრულიათ გაფოლადდება რეგულიარული ჯარი, ის გახდება რესპუბლიკის სურვილ უფლებათა ნამდვილი დარაჯი და სახალხო გვარდიასთან ერთად გადალახავს ყოველივე დაბრკოლებას და შეძლებს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას და მისი საზღვრების დაცვას.

სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი.

ახალი ამბები

ორშაბათს, 12 იანვარს, შუადღის 1 საათზე დანიშნულია დამფუძნებელი კრების სოც. დემ. ფრაქციის ბიუროს სხდომა. ფრაქციის ყველა წევრებს, რომელნიც თფილისში არიან, სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ სხდომას.

◆ აკაკი ჩხენკელის მოხსენება. 9 იანვარს ამხ. აკაკი ჩხენკელმა საქართველოს სოც. დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოხსენება გააკეთა იმის შესახებ, თუ როგორ გახდა საქართველოს სოც.-დემოკრატია საერთაშორისო სოციალისტური ორგანიზაციის—ინტერნაციონალის წევრი, როგორია მე 2 და მე-3—ინტერნაციონალი და სხვ. შეეხო აგრეთვე სოციალისტურ მოძრაობას დასავლეთ ევროპაში და მომავალ რევოლიუციონურ პერსპექტივებს. მოხსენების ვრცელ ანგარიშს შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

◆ ხუთშაბათს, 13 იანვარს საღამოს 4 ს. სახელმწიფო თეატრში აკაკი ჩხენკელი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „თანამედროვე სიტუაცია და საქართველოს საკითხი. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

◆ ქალაქის საბჭოს სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სხდომა დანიშნულია დღეს დილის 11 ს. დასწრება სავალდებულოა.

◆ განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრისა. ტყვედ ყოფილნი გერმანელი, ავსტრიელი, ბულგარელი და ოსმალო ოფიცრები და ჯარისკაცები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ რაზმის უფროსთან რეგისტრაციისათვის. ვაცხადებ რა ამას, ვაფრთხილებ ყველა ზემოთ ხსენებულ ოფიცრებს და ჯარისკაცებს, რომ ვინც ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, არ გამოცხადდება სარეგისტრაციოდ, მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში არსებულ კანონის თანახმად. გამოცხადების ადგილი: შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული განსაკუთრებული რაზმის კანცელარია, სოლოლაკისა და პეტრე დიდის ქუჩების კუთხე. შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

◆ ახალი გაზეთი. დღეს თფილისში გამოვა ახალი რუსული ყოველ კვირეული გაზეთი „მუშათა ხმა".

იძინე ნაზად, მონარგიზულო!

(სადა ლექსი)

—მიმღერე შენი სევდის ლექსები!—მთხოვ მეგობარო.
რა ვქნა, ნუ მიწყენ გეთაყვანე, ვერ შეგისრულებ.
სევდის სიმღერას სევდიანი ფიქრები უნდა.
შენ არ გაქვს იგი.
შენ ვერ გაიგებ მისს ხვაშიადსა.

⁂

ან რისთვის გინდა ჰანგთა კვითინი?
ნუმცა გწვევია ქმუნვა ნუროდეს.
შენ სიცილად ხარ დაბადებული.
შენი ღიმილი ყვავილებით აჭრელებს მდელოს.
შენ თვალთ კვესება ალმასებით ცას აკრიალებს.
—ჩვენსკენ, ახ, ჩვენსკენ!—გეძახიან ტკბილი სიზმრები.
გაჰყევ მათ სწრაფად.
გაჰყევ ნავარდით.

⁂

აი ეშვება მწუხრი ღამისა.
უკვე გაისმის კაეშნის ზილი.
შენ დაიძინე, სულის დგმაო!
ვარსკვლავთა გრძნება მიგილულავს მაგ ზღაპრულ თვალებს.
პირ-ბადრი მთვარე გადმოგაშლის სხივთა დალალებს.
იძინე ნაზად, მონარგიზულო!

⁂

შენ მიგეძინა.
შენ მიგეძინა და მე ვაფრქვევ მდუღარე ცრემლებს.
მე ვსტირი, ვკვნესი, ვით ორძალი ობოლი მწყემსის.
ფრთხილად, უჩუმრად ვაქანდაკებ კაეშნის ჰანგებს.
ვშიშობ. არ ჩასწვდეს შენს ნაზს სმენასა.
არ შეგაშფოთოს მტანჯავ ღამეში.
არ ჩაგახედოს ჩემს სნეულ გულში.
არ მოგინამოს ცრემლებით თვალნი.

⁂

გარიჟრაჟისას შენ გაგაღვიძებს მზის მაყრიონი.
ლაწვთ გადგიკოცნის გიჟ ოცნების სათუთი სიო.
აღარაფერი მოგაგონებს ნაღვლიან ღამეს.

⁂

იძინე ტკბილად, სიზმრის ჯავარო!
ნუ შეეყრები კაეშნის ღამეს.
ნუ შეიყვარებ სევდის სიმღერებს.
ნაღვლიან ხმებსა ნაღვლიანი ფიქრები უნდა.
შენ ცისკრის ჟამს ხარ დაბადებული,
შენ ვერ მიჰხვდები მწუხრის ლოცვებს.

დ. თურდოსპირელი.

◆ **ციხის დათვალიერება.** ხუთშაბათს, დეკემბრის 8 ს, იუსტიციის მინისტრმა რ. მ. არსენიძემ დეპარტამენტის დირექტორის გ. თ. ჟორდანიასთან, პალატის პროკურორის თ. ა. ალ. ივ. ყანჩელთან, ოლქის სასამართლოს პროკურორის თ. ა. მ. კანდელაკთან, ადმინისტრაციის ინსპექტორის ს. პ. გეგელაშვილთან და სხვებთან ერთად დაათვალიერა თფილისის № 2 (მეტეხის) ციხე. მინისტრმა პირადად დაიარა კამერები და მიიღო განცხადებანი ტუსაღებისაგან.

◆ **გადასახადები.** ერთდროული მიწის გადასახადი ლეჩხუმის მაზრაზე გაწერილი იყო 832,962 მანეთი. აქედან უკვე აიკრიფა და ხაზინაში შეტანილია 513,728 მ. დანარჩენი გროვდება.

◆ **საპროკურორო ზედამხედველობის თათბირი.** პარასკევს, დეკემბრის 9 იუსტიციის მინისტრის კაბინეტში იუსტიციის მინისტრის რ. მ. არსენიძის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სასამართლო პალატის და თფილისის ოლქის სასამართლოს საპროკურორო ზედამხედველობის წევრებმა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** ვინაიდან სახალხო უნივერსიტეტის ყველა განყოფილებებში მეორე სემესტრის მეცადინეობა იწყება 12 იანვრიდან—სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებაში (მიხაილოვის (პლეხანოვის) პრ. სახლი № 123) ყოფილ რუსთა კლუბის შენობაში კვირას, 11 იანვარს, დილის სრულ 11 საათზე დანიშნულია ქართულ განყოფილებათა ინსტრუქტორთა, განყოფილებების წარმომადგენელთა და ყველა ძველ ლექტორთა და ახლით ლექტორობის მსურველთა შეერთებული სხდომა: ვისაც დემოკრატიის გათვითცნობიერებისათვის გული შესტკივა, ყველა უნდა დაესწროს ამ კრებას; სამი თვით ლექციები გასაწესრიგებულია და სასურველია ახალი ძალები შეემატოს სახალხო უნივერსიტეტს.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს, დილით „ჯეჯილის" 35 წლის იუბილეის აღსანიშნავათ საბავშო წარმოდგენა. საღამოთი, დირექტორ კორშონის ბენეფისი „დუბროვსკი", ორშაბათს „ქეთო და კოტე", 13 იანვარს „ფაუსტი", ოთხშაბათს, 14 იანვარს ბ. ი. ზალიპსკის ბენეფისი „ფრა-დიავოლო".

◆ **ლექცია და წარმოდგენა** დღეს [illegible] მუშათა კლუბში ამხ. გ. გიორგაძე წაიკითხავს მოხსენებას მიმდინარე მომენტზე. მის შემდეგ წარმოდგენილი იქნება 3 მოქ. ტრაგედია „საშინელი შურის ძიება" დასაწყისი საღ. 8 ს.

◆ **„გურიის ერობის მოამბე".** კანტორა „განათლებაში" იყიდება ერობის ყოველკვირეული გაზეთი „გურ. ერობის მოამბე".

მთავრობაში

27 დეკემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— „კოსმოს ლიმიტედის" ფირმასთან თამბაქოს სარეალიზაციო მთავრობის წარმომადგენლად დანიშნოს იასონ [illegible].

— ნება მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს 15,000 მან. დახმარება აღმოუჩინოს მელიტონ ყენიას, რომელსაც უკანასკნელ ბოლშევიკურ გამოსვლების დროს მამა დაეღუპა.

— გადაიდოს 1,500,000 მანეთი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სესხის გადასახდელად, რომელიც ბარებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს. სათანადო დეკრეტის შედგენა და გასამართლებელ საბუთების წარდგენა დამფუძნებელ კრებაში დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. დეკრეტის მიღებამდე კი გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 100,000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისათვის გადასაცემად იმ პირობით, რომ ეს თანხა დეკრეტის მიღებისთანავე დაუბრუნდება ათ მილიონიან ფონდს.

— დამტკიცებულ იქნას ერობათა კავშირის დებულება.

„სტუდენტის დღე"-ს

სტუდენტთა კავშირის გამგეობის და საზოგადო მოღვაწეთა შეერთებული სხდომის დადგენილებით 26 იანვარს მოწყობილი იქნება „სტუდენტის დღე".

ამ დღეს დღესასწაულობს მთელი საქართველო ყველა დაბა-ქალაქებში გაიმართება სადღესასწაულო საღამოები ღარიბების სტუდენტთა სასარგებლოდ.

თფილისში კი, ყველა უბნის თეატრ-კინემატოგრაფებში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენები. არტისტიულ საზოგადოების ყველა დარბაზებში გაიმართება სტუდენტთა დიდი ტრადიციული ეროვნული საღამო ქ-ნ მ. რამიშვილის და ო. სვანიშვილის მხურვალე მონაწილეობით.

საგანგებო კომისია სთხოვს უნივერსიტეტის მეგობართ და საზოგადოებას მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ დღის ღირსეულად ჩატარებაში.

ყოველგვარი ცნობების, შემოწირულების და რჩევის მიღება შეიძლება სტუდენტთა სასადილოში ყოველ დღე მთავარ კომისიის მდივანთან სტ. დავით წერეთელთან. დილის 11—1 ს. და საღამოს 5—7 ს. საგანგებო ბარათები და სათანადო ინსტრუქციები უკვე დაეგზავნა ყველა პროვინციებს.

უცხოეთი

რუსეთი.

ხარკოვში. ქალაქიდან გამოქცეულთა რიცხვი დღითი დღე იზრდება ბოლშევიკების „ჩრეზვიჩაიკა" ინტენსიურათ მუშაობს. ხარკოვის მიდამოებში მისი აგენტები იჭერენ ქალაქიდან გაქცეულთ. დაჭერილთა დახვრეტა აკრძალულია, რადგანაც ტყვია-წამლის ნაკლებულობა არის და მას თეთრ გვარდიელებისათვის ინახავენ. შეპყრობილთ ღრჩობენ და ჰკუწავენ, ქალაქში შეწყდა ყოველივე სიცოცხლე. შავი პური, რომელიც ღირდა პირველ კვირას ფუთი 1500 მან. ახლა 2500 მან. ღირს. წყლის დიდი ნაკლებობაა ქალაქში.

კიევი. გაზეთ „უტრო იუგა"-ს გადმოცემით ქალაქი ბნელეთს მოიცავს. წყალი მხოლოდ დაბალ სართულებში არის. ბოლშევიკების მიერ კიევის დაპყრობის მესამე დღეს ქალაქს ეწვია რაკოვსკი, რომელსაც გაუმართეს პარადი და ბანკეტი. ქალაქში ჩავიდა კიევის ყოფილ საგუბერნიო „ჩრეზვიჩაიკის" თავმჯდომარე დეგტიარენკო და შეუდგა თავის „მოღვაწეობას". მოხალისეთა მომხრეების და ბურჟუების წინააღმდეგ საშინელი რეპრესიები არის. ბევრი თეატრები დაიხურა.

დენიკინის დაწესებულებათა ევაკუაცია. გამოირკვა, რომ რადგანაც ეკატერინოდარი სავსეა ლტოლვილებით, მთავრობის დაწესებულებათა ქალაქში მოთავსება საძნელოა. სასურველათ სცნობენ მთავრობის ყველა დაწესებულებანი ერთ რომელიმე ადგილას გადაიტანონ. ასეთ ადგილათ სთვლიან ყირიმს. ფიქრობენ ყველა დაწესებულებების სევასტოპოლში მოთავსებას.

მოხალისეთა პრესა და ბოლშევიკები.

გაზ. „ვეჩერნეე ვრემია" სწერს: „უსაცილოა, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლაში სასტიკ კრიზისს განვიცდით. ჩვენი დამარცხება ხარკოვში დიდი მნიშვნელობისაა; კიევისა და პოლტავის დატოვება და ტროცკის წითელ გვარდიის შემოტევა ლოზოვაიაზედ ისეთი ფაქტებია, რომელნიც არა თუ სულიერ სიწყნარეს გვიწამლავენ, არამედ გვიუბნებიან, რომ ბოლშევიკებთან ბრძოლაში დიდი შეცდომები ჩავიდინეთ. ალადინის ლამპარი, რომელიც მოსკოვისკენ გზებს გვინათებდა, ჰქრება. სასწაულების რწმენა აღარა აქვს არც არმიას და არც საზოგადოებას და აღარც თავდადებული გმირები მოგვეპოვება. ჩვენ ვუკაკუნებთ „საზოგადოების" სულს, მაგრამ იგი აღარ არის, მხოლოდ არის მოკრუნჩხული მკვნესარი მრავალთავიანი არსება, რომელსაც ახლა ასე აკანკალებს.

ჩვენ ალადინის ჯადოსნურ ლამპარს ვუნათებთ ამ გაგარეულებულ არსებას, ჩვენ ველით სასწაულს, ეს ხომ ტყუილი არ არის? გაზეთი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ კატასტროფაში დამნაშავე არ არის „რუსული საზოგადოება", დამნაშავეა პრიმიტიული არსება, რომლის სახელია „ხალხი" და რომ რუსეთს ეხლა სჭირდება არა ჰამლეტები, არა მონოლოგები ოფელიას საფლავზე, არამედ მკაცრი და შეუბრალებელი ხელის უფლება.

„უტრო იუგა" სწერს: მხოლოდ ბრმები და უსინდისონი ტყვიან, თითქოს, ჩვენ არ განვიცდიდეთ უმთავრეს და სერიოზულ მომენტს. ბოლშევიკებმა გამარჯვებით დაასრულეს რა თავისი ოპერაციები ციმბირსა და პეტროგრადის რაიონებში, მუშტი ჩვენსკენ მოჰმართეს, და აქაც ისინი იმარჯვებენ: დიდძალი ადგილები და ისეთი ქალაქები, როგორც კიევი, პოლტავა, ხარკოვი ისევ საბჭოთა მთავრობის ხელშია. ამ გამარჯვებას ემატება მათი გამარჯვებაც საერთაშორისო პოლიტიკაში, იზრდება ბოლშევიკური აგიტაცია. ამიტომ საჭიროა ხალხში შესვლა, მოწყობა დემოკრატიული ძალებისა და მათში ახალი სულის ჩაბერვა.

ისპანია.

ისპანიის პალატა და რუსეთი. სოციალისტი საბორტი პალატაში შეეკითხა ისპანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, სიმართლეს შეიცავს თუ არა ის ცნობა, რომ ისპანია მიიწვიეს მონაწილეობა მიეღო რუსეთის წინააღმდეგ ბლოკადაში და ებრძოლნა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ისპანიის პროლეტარიატი არ ჩაერევა ამ საქმეში, არავის არ აქვს უფლება სხვა ხალხების შინაურ საქმეებში ჩაერიოსო, ასე დაამთავრა თავის შეკითხვა საბორტმა. მინისტრმა თავის საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ ისპანიის საგარეო პოლიტიკა გამომდინარეობს, მხოლოდ იმ ხელშეკრულებებიდან, რომელიც მას დადებული აქვს სხვა სახელმწიფოებთან. რაც შეეხება იმ კითხვას, თუ რა პოზიციას აღგია ისპანია რუსეთის მიმართ, ისპანიას არ შეუძლიან დაივიწყოს ის, რომ მის საკონსულოს პეტროგრადში ორჯერ დაესხნენ თავს და ისპანიის წარმომადგენელი იძულებული იყო დაეტოვებინა რუსეთი. ამგვარ პირობებში ისპანიას არ შეუძლია დაიჭიროს რაიმე კავშირი რუსეთის მთავრობასთან. საბორტი მოითხოვდა მინისტრისაგან გადაჭრილ პასუხს. მაშინ მინისტრმა განაცხადა, რომ ტყუილია ის ხმები, თითქოს ისპანიისთვის მიემართოთ რუსეთის წინააღმდეგ ბლოკადაში მონაწილეობის მისაღებათ.

სპარსეთი

სპარსეთი და ხალხთა ლიგა. სპარსეთმა გადასწყვიტა შევიდეს ხალხთა ლიგაში. თეირანში ამ მიზნისათვის აირჩიეს კომისია, რომელსაც დაეკისრა არა მარტო პოლიტიკური ფუნქციები, არამედ—მას დაევალა მოაწყოს საზღვარგარეთ სწორი ინფორმაცია სპარსეთის შინაურ საქმეების შესახებ.

ოსმალეთი.

ვენიზელოსის აზრი ოსმალეთის საკითხის შესახებ. საბერძნეთის პრემიერს იტალიის პრესის წარმომადგენლისათვის შემდეგი განუცხადებია: მე ვბრუნდები საფრანგეთში, რომ დავესწრო მოკავშირეთა სახელმწიფოების პრემიერთა თათბირს, რომელიც გაარჩევს საბერძნეთის და ოსმალეთის საკითხებს. მე, რასაკვირველია, შევეცდები საბერძნეთის ინტერესების დაცვას. ოსმალეთის იმპერია კი არ უნდა არსებობდეს ევროპის ფარგლებში.

ტარიელ ყენია

ჩოხატაურში 10 ნოემბერს, ბოლშევიკებთან შეტაკების დროს დაიღუპა ამხ. ტარიელ მელიტონის ძე ყენია. ჩვენი დემოკრატიის ვერაგმა მტრებმა სიცოცხლე მოუსპეს საკაცობრიო იდეალებისათვის საუკეთესო მებრძოლ ადამიანს და თავიანთი ავაზაკური გამოსვლით ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს ხალხს, რომ მათ ყაჩაღურ თარეშსა და დემოკრატიის ინტერესებს შორის უფსკრულია გათხრილი.

1905 წლიდან ტარიელი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ს. დ. პარტიულ მუშაობაში. უბრალო წერა-კითხვის მცოდნე, მაგრამ ბუნებით სპეტაკი და იდეიური ამხ. ტარიელი მთელის ძალ-ღონით ცდილობდა შეეთვისებინა ს. დემოკრატიული მოძღვრება და გამხდარიყო პარტიის შეგნებულ წევრად.

1905 წ. ის იყო წითელ რაზმში და დარაჯათ ედგა თავისუფლების დაცვის საქმეს.—მას ღრმათ სწამდა პარტიული დისციპლინა, პარტიული დადგენილება ამა თუ იმ კითხვის შესახებ და არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა, სანამ ამის შესახებ ორგანიზაციიდან სათანადო დადგენილებას არ მოიღებდა. რევოლუციის შავ-ბნელ დღეებშიაც ამხ. ტარიელი დიდ მუშაობას ეწეოდა პარტიაში. მას ღრმად სწამდა დემოკრატიის გამარჯვება და ამიტომ მისი მისწრაფება და მუშაობის უნარი ოდნავათაც არ შეუსუსტებია თავისუფლების მტრებს—ძველი რეჟიმის მესვეურებს. ამხ. ტარიელი დიდ მუშაობას ეწეოდა აგრეთვე ყოველგვარ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში და ყველგან თავისი წვლილი შეჰქონდა.

დიდი რევოლუციის დღეებიდან ამხ. ტარიელი გაორკეცებული ენერგიით ეწეოდა პარტიულ მუშაობას. დიდი ღვაწლი მიუძღვის, სხვებთან ერთათ, საჭამია-სერის რაიონის გვარდიის შედგენაში, რომლის საუკეთესო ხელმძღვანელათ ითვლებოდა მას კარგათ ესმოდა და სწამდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელი ხალხისთვის იმ თავის უფლებას, რომლითაც ქართველი ხალხი სარგებლობს. იგი ყოველ წუთს მზათ იყო სიტყვით, თუ იარაღით დაეცვა ქართველი ხალხის სუვერენული უფლებები გარეშე თუ შინაური მტრებისაგან.

მშვიდობით ამხ. ტარიელ! შენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ყველა ამხანაგებისათვის, ვეცდებით შენებრ პირნათლად და შეურყევლად ვემსახუროთ მშრომელ ხალხს.

საჭამია-სერის სოც.-დემოკრატიული რაიონული კოლექტივი.

სასამართლოს მაჩვენებელი

20 იანვარს საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში მოსასმენათ დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1. საქ. № 3. საკასაციო საჩივარი ოლღა ლიტკინისა, სოხუმის 1 უბნის მომრიგებელ მოსამართლის განაჩენზე, ბრალდებულ ნეონილა იეგოვის საქმის შესახებ. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 169 მუხ. სასჯ. დებ.

2 საქ. № 34. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ანტონ გიორგის ძის ნოვრუზაშვილისა დამცველის ნაფ. ვექ. მაქსიმოვისა თფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე, ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 1455 მუხ. სასჯ. დებ.

3. საქ. № 45. საკასაციო საჩივარი გიორგი სოლომონის ძის ჯავროვისა თფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე, ბრალდებულ დავით ჩისლიევის შესახებ. ჩისლიევს ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 1 ნაწ. 1059 და 1466 სასჯ. დებ.

4. საქ. № 94. საკასაციო საჩივრები ბრალდებულ უსეინ მამედ ოღლისა და ბრალდებულთ ივანე გელეიშვილის და გეიდარ ალი ოღლის დამცველის ნაფ. ვექ. ყორღანოვისა, რომელთაც შემოუერთდათ ბრალდებული უმბათ მეხტი ოღლი, თფილისის დროებით საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. ბრალდებულნი ცნობილნი არიან დამნაშავედ, თანახმად სასჯ. დებ. 1629 და 1632 მუხ.

ბათუმი.

— უცხოეთის ყველა ვალიუტების გადახურდავება ხდება მხოლოდ ქართულ ბონებზე.

— გუშინ ქართული ბონები 190 პროცენტით მეტს ფასობდა დონის ფულებზე. ამ ბოლო ხანებში ქართული ფულის შოვნა ძლიერ გაძნელდა. ვაჭრები თითქმის არც ერთ საქონელს დონის ფულებზე აღარ ყიდიან.

— 3 იანვარს კარაპეტოვიჩის კანტორიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 750,000 მანეთათ. ერთი ბოროტმოქმედთაგანი სურენ მელკონიანცი დატუსაღებულ იქნა.

— ამავე დღეს ექიმ გეგელაშვილის ბინიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 10 ათას მანეთად ღირებული ნივთები.

— ინგლისის სარდლობამ ქალაქის სასურსათო გამგეობას გადასცა 4000 ტონა პურის ფქვილი, რაც ეყოფა ქალაქს 4 დღეს. აგრეთვე ეცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ეს არის უკანასკნელი დახმარება ფქვილით ინგლისელებისაგან და მომავალში დახმარების იმედი ნულარ გექნებათო.

— პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ბათუმის სამოქალაქო სამმართველოს წინაშე, რათა გაუქმებულ იქნას ბათუმში დონის ფულები.

— 2 იანვარს ოდესიდან ბათუმში მოვიდა იტალიის გემი „დალმაცია", რომელმაც მოიყვანა დიდძალი ლტოლვილები. ლტოლვილებს ჯერ-ჯერობით ნება არ აქვთ ნაპირზე გადმოვიდნენ. როგორც ამბობენ მოხალისეთა ჯარს უკვე დაუცლია როსტოვი. ამის გამო მცხოვრებლები ოდესასაც სტოვებენ.

სრულიად საქართველოს
მასწავლებელთა ყრილობა

(მეორე დღე)

კრება იხსნება დილის 11 საათზე. თავმჯდომარეობს ალ. მდივანი. თავმჯდომარეს პრეზიდიუმის სახელით შემოაქვს წინადადება გაეგზავნოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას სამადლობელი დეპეშები. წინადადება ერთხმად მიღებულ იქნა. ტექსტის შედგენა მიენდო პრეზიდიუმს. სამანდატო კომისიის წევრს იმნაძეს შემოაქვს განცხადება, რომ ვინაიდან სამანდატო კომისიას ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია მუშაობა, გაუგრძელდეს მუშაობის ვადა შემდეგი კრებამდის წინადადება მიღებულ იქნა. ამის შემდეგ თავმჯდომარე აცნობს ყრილობას დღის წესრიგში დასმულ საკითხს—სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის წესდების განხილვა. ამ საკითხზე საორგანიზაციო კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს ვ. ბურჯანაძე. მან თავის წინასიტყვაობაში აღნიშნა ის ფაქტი, რომ 1917 წ. თფილისში დაარსდა ამიერ-კავკასიის მასწავლებელთა კავშირი, რომელშიაც შედიოდენ ამიერ-კავკასიის ყველა ტიპისა და საფეხურების მასწავლებელნი, მაგრამ როდესაც ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საქართველო იძულებული გახდა გამოეცხადებინა თავის თავი დამოუკიდებელ თავისუფალ სახელმწიფოდ, ხსენებული მასწავლებელთა კავშირი დაიშალა და ეს გარემოება გვაყენებს დღეს იმ ფაქტის წინაშე, რომ საჭირო არის ამ ჟამად დაარსდეს სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირი. კავშირის წესდების პროექტი მოხსენებელმა წაუკითხა ყრილობას. პროექტი განხილული და მიღებული აქვს საორგანიზაციო კომიტეტს. წარმოდგენილ წესდების პროექტს მთავარ მიზნად დასახული აქვს დაეხმაროს დემოკრატიულ მთავრობას სწავლა-განათლების რეორგანიზაციის საქმეში და ამის მიხედვით კავშირში შეუძლია შევიდეს სრულუფლებიან წევრად საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნაციონალურ ამგვარი კავშირებსაც. ეს აზრი გამოთქმულია წესდების პროექტის პირველ მუხლში და შემდეგ აღნიშნულია ამ მიზნის მისაღწევი საშუალებანი. ამ მოხსენების შესახებ აკ. ფილავა ამბობს, რომ წარმოდგენილ წესდების პროექტში მთავარი მიზანი არის შეუსაბამობა მასწავლებელთა კავშირისათვის და მოითხოვს მეორე მოხსენების წაკითხვის ნებას. ეს წინადადება უარყოფილ იქნა კრების უმრავლესობის მიერ და დაადგინეს შეუდგენ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილ წესდების პროექტის მუხლობრივ განხილვას და საჭირო შესწორებების შეტანას. მიუხედავათ კრების ასეთ დადგენილებისა მასწავლებელ ჭანიშვილმა მაინც მოახერხა მეორე კერძო წესდების პროექტის წაკითხვა ყრილობაზე. ამ წესდების პროექტში მომხსენებელი მასწავლებელთა კავშირის შედგენას მოითხოვს ფედერატიულ ნიადაგზე. დამცველებათ გამოდიოდენ ვ. კოტეტიშვილი და სხვა ფედერალისტები. ისინი სასტიკად ილაშქრებდენ ვ. ბურჯანაძის მიერ წაკითხულ წესდების პროექტის წინააღმდეგ და ხაზს უსვამდენ პროექტის იმ ადგილს, სადაც ნათქვამი არის, რომ კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიულ მთავრობას სწავლა განათლების რეორგანიზაციის საქმეშიო, ისინი ამტკიცებდენ, რომ მასწავლებელთა კავშირის მოვალეობას სრულებით არ შეადგენს მთავრობის დახმარება, პირიქით ხშირად საჭიროც იქნება მისი ოპოზიციაში ჩადგომაცო. ეყარა კენჭი და ხმის უმრავლესობით უარყოფილი იქნა ჭანიშვილის მიერ წარმოდგენილი წესდების პროექტი და მიღებულ იქნა ვ. ბურჯანაძის. ამის შემდეგ კრება შეუდგა მიღებულ წესდების პროექტის მუხლობრივ განხილვას და საჭირო შესწორებების შეტანას განხილულ იქნა წესდების მეტი ნაწილი. დროს სიმცირის გამო დანარჩენი მუხლების განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის. კრება დაიხურა საღამოს 4 საათზე და დაინიშნა მეორე დღის 11 საათისათვის.

ნოდ.

პროფესიონალურ კავშირებში

28 დეკემბერს შედგა შეერთებული სხდომა კავშირების: ხის დამმუშავებელ, მშენებელ მუშებისა და მხერხავების. გასარჩევი იყო საკითხები: 1) ხსენებულ სამი კავშირის ერთ მთავარ კავშირად შეერთება, 2) მოხსენებები სამივე კავშირებიდან თავიანთ მოქმედების შესახებ, 3) მთავარი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და 4) წარმომადგენლის არჩევა ცენტრალურ საბჭოში.

პირველი საკითხის შესახებ ამხ. ლაცაბიძის მოხსენება კრებამ ერთხმად მიიღო და დაადგინა სამივე კავშირების ერთ კავშირად შეერთება.

შემდეგ კრებამ მოისმინა სამივე კავშირებიდან მოხსენებები.

1919 წლის 1 იანვრიდან ხის დამმუშავებელ მუშათა კავშირი დაშლილა. ამით უსარგებლნიათ მეწარმოებლებს და ძლიერ შეუვიწროვებიათ მუშები. როცა უკანასკნელნი დარწმუნებულან კავშირის აუცილებლობაში, ის ისევ შეუქმნიათ და დღეს ხსენებულ კავშირში 127 წევრი ირიცხება.

მშენებელ მუშათა კავშირში 1919 წ. აგვისტოში 35 წევრი ირიცხებოდა, კასაში ყოფილა 320 მან. ეხლა კი კავშირში 310 წევრია და კასაში 14,000 მანეთი.

მხერხავების კავშირი შესდგება 80 წევრისაგან და კასაშია 1500 მანეთი.

მოხდა არჩევნები. გამგეობაში არჩეულ იქნა 15 კაცი; სარევიზიო კომისიაში 3. ცენტრალურ საბჭოში წარმომადგენლებად არჩეულ იქნენ ამხ. ქაჯაია და ოდიშვილი. 2 იანვარს შესდგა შეერთებულ კავშირების გამგეობის სხდომა, რომელზედაც ამორჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარე—ოდიშვილი, თავმჯ. ამხანაგათ ქაჯაია, ხაზინადარად კუბლაშვილი და მდივნად პირხალავა. დადგენილ იქნა კავშირის დარქმევა: მშენებელ მუშათა კავშირი.

საქ. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყველა სამაზრო და საქალაქო ორგანიზაციებს

ცეკა მოაგონებს, რომ თანახმად პარტიული წესდების მეათე მუხლისა ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია ვალდებულია 15 იანვრამდე წარუდგინოს ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში გასული წლის მოღვაწეობის შესახებ. (უფ. 5—4)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

8 იანვარს კავშირთა საბჭოს სხდომაზე დადგენილ იქნა: ეცნობოს ნემსის პროლეტარიატის კავშირს, რომ არტელის წევრებს არ შეუძლიათ იყონ პროფესიონალურ კავშირის წევრად. ეცნობოს მუშათა კლუბის კომისიას, რომ მუშათა კლუბის მოსაწყობი ყოველივე ნაბიჯები უნდა ტარდებოდეს საბჭოს საშუალებით. არჩეულ იქნას კომისია, კლუბის რევიზიისათვის.

დაევალოს პრეზიდიუმს გაიგოს კოოპერატივის გამგეობისაგან—შეიძლება თუ არა კოოპერატივი „აღორძინება" იყოს ის ცენტრი, რომლის ირგვლივაც უნდა შეიკრიბონ ყველა მუშათა კოოპერატივები.

ცენტრალური მომრიგებელ კამერის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ დადგენილ იქნა: სეკრეტარიატის 5 დეკემბრის დადგენილება დარჩეს ძალაში და დადგენილების ასლი ხელმეორედ გაეგზავნოს მომრიგებელ კამერის მუშათა სექციებს და თვით მომრიგებელ კამერას.

საბჭოს სეკრეტარიატმა შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა მომარაგების სამინისტროს (ასლი სატარიფო პალატას): მიუხედავად იმისა, რომ მუშებმა და პროფესიონალურ კავშირებმა მრავალჯერ მიმართეს მწარმოებლებს, სასურსათო ფონდში თითოეულ მუშაზე 1000 მან. გადასახადის შეტანის შესახებ, ბევრ მათგანს ჯერაც არ შეუტანიათ ეს თანხა, როგორც თვითონ აცხადებენ იმიტომ, რომ მომარაგების სამინისტრო და სატარიფო პალატა თითქოს არ თხოულობენ ამას. მწარმოებლების მხრივ ასეთი გულგრილობის თავიდან ასაცილებლათ, ვთხოვთ მომარაგების სამინისტროს და სატარიფო პალატას მოახდინოთ ულტიმატუმის სახით შესაფერი განკარგულება და დაუნიშნოთ დრო და ადგილი, როდესაც მათ უნდა შეიტანონ ხსენებული თანხა".

ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრებიდან

3 იანვარს მთავარი ფოსტის დარბაზში მოხდა თფილისის ფ.-ტ. დაწესებულებათა მოსამსახურეების საერთო კრება, რომელიც მოწვეული იყო ცენტრალური გამგეობის მიერ. კრებაზე თავიდან დაესწრო 200 კაცი, ფ.-ტ. სამმართველოს უფროსის თანაშემწე შალიკაშვილი და მთავარი მექანიკოსი სურგულაძე. დღის წესრიგში იდგა: 1) ჯამაგირების გადიდება და 2) სარაიონო გამგეობის არჩევნები. კრება გახსნა ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარემ რომელმაც განაცხადა, რომ რადგან კრება მცირერიცხოვანია და უკანონო, მას ექნება მხოლოდ თათბირის ხასიათი, გამგეობა ინფორმაციის მიზნით გააკეთებს მოხსენებას, თუ რა ბედი განიცადა 7 დეკემბრიდან ჯამაგირების გადიდების საკითხმა და არავითარი კამათი და რეზოლიუცია არ იქნება. კრება ამით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ გამგეობამ თავისი გაიტანა და მდივანი შეუდგა მოხსენებას. 7 დეკემბრის საერთო კრებამ გამგეობას დაავალა ჯამაგირების გადიდებაზე ზრუნვა. გამგეობამ შეიმუშავა ჯამაგირების ნორმა: დაბალ მოსამსახურეთათვის 2100-დან 2700 მანეთამდე, მოხელეთათვის 2900 დან 3800 მდე და მოხსენებასთან ერთად წარუდგინა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს და საბიუჯეტო კომისიას, შინაგან საქმეთა და შრომის მინისტრებს და ფ.-ტ. სამმართველოს უფროსს. ეს შემუშავებული ნორმები იმდენათ სამართლიანი გამოდგა, რომ დამფუძნებელმა კრებამ და სამინისტროებმა გაიზიარეს ჩვენი მოთხოვნილებები, ხოლო პროვინციელ მოსამსახურეებმა მხარი დაუჭირეს მას, და განაცხადეს რომ თუ ასეთი ჯამაგირები არ მოგვეცა, მოხელეები შიმშილით აპარატებთან დალევენ სულსო ყველაფერი რიგზე მიდიოდა, ჯამაგირების მომატება დღემდე გატარდებოდა, მხოლოდ ჩვენმა ადმინისტრაციამ შეუშალა მას ხელი და, მიუხედავათ მინისტრის ბრძანებისა, თავის მოსაზრება ჯერაც არ წარუდგენია; უამისოთ კი საქმე ვერ გადაწყდება. დამფუძნებელი კრების კანიკულებიც დადგა და საქმე შეჩერებულიაო. საერთოდ, მომხსენებლის აზრით, ჯამაგირების გადიდების საკითხი თითქმის სავსებით დამოკიდებული ყოფილა ადმინისტრაციაზე და სადაც კი უკანასკნელი ჩარეულა საქმეში და დახმარებია მოსამსახურეებს, ყველგან დიდებითი შედეგებისთვის მიუღწევიათ, მაგ., რკინის გზაზე, კონტროლში და სხვაგან. გამონაკლისი შეადგენია მხოლოდ ფ.-ტ. ადმინისტრაციას, რომელსაც დახმარების მაგიერ ხელი შეუშლია მომატებისთვის.

როგორც ამ მოხსენებამ, ისე გამგეობის და მისი მიმდევრების მოქმედებამ ამ კრებაზე აშკარათ გამოამჟღავნა, რომ ეს კრება იყო მოწვეული სააგიტაციო მიზნით სარაიონო გამგეობის არჩევნებში ფედერალისტების გამარჯვებისთვის ნიადაგის მოსამზადებლათ. ამ მიზნით ცდილობდა გამგეობა და მისი დამქაშები კამათის თავიდან აცილებას. მაგრამ მომხსენებლის მიერ ადმინისტრაციაზე მოხერხებულმა თავდასხმამ და დემაგოგიამ ზოგიერთ მათგანს დავთარი დაუბნია, გამარჯვების იმედი აღუძრა და უკვე კამათის გახსნა მოითხოვეს. აქ მათ უშლიდა ხელს ერთი გარემოება. მოხსენების დროს კრებას შემოემატა თითქმის ერთი იმდენი, რაც იყო და მათში უმრავლესობამ შეადგინეს ტელეფონის მოსამსახურეებმა, რომლებიც თავიდანვე ოპოზიციაში უდგანან გამგეობას, მას უნდობლობა გამოუტანეს, პროცენტებს არ უხდიან და ნდობით აღჭურვილ გამგეობის არჩევამდე ინახავენ თავიანთ კასაში. ფედერალისტებმა აქ მიმართეს ასეთ ზომებს. ბ. ბერძენიშვილმა შეიტანა წინადადება გაიხსნას კამათი მოხსენების შესახებ, ხოლო ტელეფონის მოსამსახურეებს არ მიეცეთ უფლება კენჭის ყრაში მონაწილეობის, როგორც კავშირიდან განდევნილებსო. ასეთმა განცხადებამ მეტად აღელვა ყველა მოსამსახურეები. ადმინისტრაციის სახელით შალიკაშვილმა განაცხადა, რომ მომხსენებლის მიერ ადმინისტრაციის როლი მომატების საკითხში ცალმხრივათ იქნა გაშუქებული, რისთვისაც საჭიროა ადმინისტრაციის წარმომადგენელს მიეცეს სიტყვა და საერთოდ გაიმართოს კამათი მოხსენების გარშემო. კენჭის ყრით გადაწყდა კამათის გახსნა (ტელეფონის მოსამსახურეების ხმები არ ითვლებოდა, რითაც გამგეობამ გაიზიარა ბერძენიშვილის აზრი). სიტყვა მიეცა შალიკაშვილს. მან განაცხადა, რომ დასმული საკითხი მეტად სერიოზულია, პურმა გამოიწვია რუსეთის რევოლიუცია, პურივე აქცევს დღეს რუსეთს და აქაც პურის გარშემო შექმნილ დემაგოგიით სურთ ზოგიერთებს ფონს გასვლა და თავისი საკუთარი მიზნების მიღწევაო. ეკონომიური ბრძოლის ნიად გზე აქ ცდილობენ თავიანთ პარტიული საქმის კეთებას დემაგოგიის საშვალებით. ამბობენ, თუ მოხელეს 2900—3800 მანეთამდე არ მიეცით აპარატთან დავარდება სიმშილისაგანო. მაგრამ ამავე დროს არაფერს ამბობენ იმაზე თუ რატომ არ დავარდება დაბალი მოსამსახურე, რომელმაც, მათივე ანგარიშით, უნდა აიღოს 2100-დან 2700 მანეთამდე ამბობენ, მინისტრმა უბრძანა, მაგრამ ფ.-ტ. ადმინისტრაციამ მაინც არ წარადგინა თავის მოსაზრება ჯამაგირების გადიდების შესახებო, და ამას გეუბნებიან თქვენ, სახელმწიფო მოსამსახურეებს, რომლებმაც კარგათ იცით, რომ ხელქვეითი ვერ აუვლის გვერდს უფროსის ბრძანებას, და დიდ სურვილიც რომ ჰქონდეს. თუ ეს ასეა, როგორღა შეძლო ადმინისტრაციას არ შეესრულებინა მინისტრის ბრძანება? აი, ბატონებო, დემაგოგია, აი, როგორი საშვალებით ცდილობენ ეს ხალხი საქმის გაკეთებას და კიდევ ამბობენ, რომ რკინის გზის ადმინისტრაცია თვითონვე ზრუნავს ჯამაგირების გადიდებაზეო. მერე, რატომ არ კითხავთ, თუ როგორღა მუშაობს რკინის გზის კავშირი. ეს კავშირი არ ეთიშება საერთო დემოკრატიის გზას, არ მოქმედებს სეპარატიულათ, არ წიხლავს უსაბუთოთ თავის ადმინისტრაციას. ახლა, როდესაც მათი საქმე დაიწყება უმაღლეს დაწესებულებებიდან, ჩვენ იქ ვერ წარვდგებით ჩვენის მოსაზრებით, სანამ ამას არ გვიბრძანებენ, ხოლო ასეთი ბრძანება ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ჩვენი მოსაზრება და მოსაზრება თვით გამგეობის, საქმე საბოლოოთ მაინც გადაწყდება იქ, სადაც თავს იყრიან კავშირთა წარმომადგენლები—სატარიფო პალატაში და ვისაც უნდა ეკონომიური მდგომარეობის მალე გაუმჯობესება, მან უნდა იაროს იმ დემოკრატიის გზით და მასთან ერთად, ვინც ამ სატარიფო პალატაში თავის წარმომადგენლები გაგზავნა. მაგრამ ეს გზა არ არის ისეთი, რომელსაც ადგას გამგეობა და მე მოგიწოდებთ, თქვენ თვითონ დაადგეთ ამ გზას, თვარა ცარიელი რეზოლიუციები და გაფიცვის მუქარა საქმეს ვერ უშველისო, დაათავა ორატორმა. კრება ამ განცხადებას ტაშის ცემით შეხვდა. ამის შემდეგ სიტყვა მიეცა ოთხ ორატორს ამ მოსაზრების მომხრეებს და მის მოწინააღმდეგეებს. მებურიშვილი და გაჩეჩილაძე გამოვიდნენ რა იმ მოსაზრებიდან, რომ გამგეობის მიერ წარმოებული პარტიული კინკლაობა ზიანს აყენებს მოსამსახურეთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს, რომ გამგეობა აწარმოებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც თიშავს ფ.-ტ. მოსამსახურეებს მოწინავე დემოკრატიის წრიდან და მიაქანებს უფსკრულისაკენ, მოუწოდეს კრებას დაადგეს იმ სწორ გზას, რომელსაც ადგას რკინის გზის მოსამსახურეები. გაჩეჩილაძემ, როგორც კავშირთა სეკრეტარიატის წევრმა ურჩია მოსამსახურეებს დემოკრატიის საერთო ოჯახთან, კავშირთა-კავშირთან მჭიდროთ დაახლოება და ყოველგვარი მოთხოვნილებების მისი და სატარიფო პალატის საშუალებით გატარება. გამგეობის დამცველი ორატორები დუმბაძე და ბერძენიშვილი, რომლებიც სრულებით არ მოელოდნენ კრების ასეთ განწყობილებას, როგორიც ამ დღეს შეიქნა, სრულიად დაიბნენ. ცხადი შეიქნა, რომ ძველებურმა დემაგოგიამ უკვე დრო მოსჭამა და გასავალი აღარ აქვს, მაგრამ სხვა არგუმენტები არაფერი გააჩნდათ და ისევ დემაგოგიას მიმართეს, მაგრამ კრებამ მათ ამის ნება არ მისცა. მასსის აღფრთოვანება ახალი მოწოდებით და აღელვება გამგეობის და მისი დამქაშების სიყალბით ისე დიდი იყო, რომ ბერძენიშვილის სიტყვის დროს ისმოდა რეპლიკები: „ვეღარ მოგვატყუებთ", „ჯერ თავი იმართლე ბოლდოსკი-კოოპტუკის საქმეებში", „ძველათ ქართველ მოსამსახურეებს სდევნიდა, ახლა საქართველოს მთავრობას ებრძვის". დრო გამოშვებით გაისმოდა: „გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას", რასაც მოჰყვებოდა მხურვალე ტაში და ვაშას ძახილი.

ამის შემდეგ სიტყვა ითხოვა ტელეფონის წარმომადგენელმა მარანჯანმა, რომელმაც მოსამსახურეთა სახელით სასტიკი პროტესტი და ზიზღი გამოუცხადა გამგეობას და ბერძენიშვილს, რომლებსაც კავშირიდან გამორიცხულათ გამოაცხადეს და ხმის უფლება წაართვეს ტელეფონის ორას მოსამსახურეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ დროზე შეიცნეს გამგეობის და მისი მიმდევრების დამღუპველი მოღვაწეობა და უნდობლობა გამოუცხადეს მათ. ჩვენ არ გვინდა კავშირიდან გასვლა, ჩვენ გვსურს ყველა მოსამსახურეებთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ვიაროთ. მაგრამ არ ვცნობთ ისეთ ხელმძღვანელებს, როგორიც არიან დღევანდელ გამგეობაში და იკრიბებიან მის გარშემო და რომლებიც ცდილობენ გაგვთიშონ ჩვენ საქართველოს მოწინავე დემოკრატიისთან და დაგვაპირდაპირონ ჩვენი ნდობით აღჭურვილ რესპუბლიკის მთავრობასთან. კრება ოვაციებს უმართავს ორატორს. ასეთისავე სიტყვით გამოდის ტელეფონის მუშა კულდინოვი, რომელიც აცხადებს, რომ ტელეფონის მუშები, რომელთა ხელში არის მთელი თფილისის ცხოვრების ნერვები, დღეს თქვენ მიერ ვიდევნებით კავშირიდან, მაგრამ ამ კავშირიდან უფრო ადრე თქვენ წახვალთ და თქვენ ადგილს დაიჭერენ დემოკრატიის ჭეშმარიტი წარმომადგენლებიო.

გამგეობის მდივან მ. ტულუშს კრებამ აღარ მისცა ლაპარაკის უფლება და დემონსტრატიულათ დაიშალა.

ამნაირათ, გამგეობის მიერ მოწვეული კრება, სადაც ფედერალისტებს სურდათ აგიტაციის გაწევა და ახალ სარაიონო გამგეობის არჩევნებში თავის გამარჯვებისთვის ნიადაგის შემზადება, გადაიქცა მათსავე საწინააღმდეგო დემონსტრაციათ. მასსამ უკვე ნათლად დაინახა ფედერალისტური გამგეობის მოღალატური საქციელი. შეიგნო მისი მოღვაწეობის დამღუპველი შედეგები, ამის შემდეგ მას ვეღარ შეაცდენს ვერავითარი დემაგოგია; იგი მიილტვის იმ გზისაკენ, რომელზედაც სდგას საქართველოს მოწინავე დემოკრატია და მას წინ ვერ გადაუდგება ვერავითარი ძალა.

ვუსურვებთ ფოსტა-ტელ. დემოკრატიას სრულ გამარჯვებას ამ ახალ გზაზე.

ტორი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 8 იანვარს, საღ. 6 საათ. ამხ. გ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება რაიონული შტაბის არჩევნების შესახებ; 2) მოხსენება სალამოს მომწყობ კომისიისა; 3) ჩვენი დამოკიდებულება გამრთობ ს—ბის გამგეობასთან; 4) კოლექტივის არჩევნების შესახებ; 5) კონსტიტუციის შესახებ; 6) მომარაგების კომიტეტის მუშების განცხადება; 7) მოხსენება საგამომძიებლო კომისიისა და 8) საზოგადო კრების მოწვევა.

პირველი კითხვის შესახებ სხდომამ მოისმინა მდივნის მოხსენება მეოთხე რაიონის შტაბის წევრთა არჩევნების შესახებ, მიიღო ის მხედველობაში და გადავიდა მორიგ საკითხზე. მეორე კითხვის შესახებ სხდომა ავალებს სალამოს მომწყობ კომისიას განაგრძოს მუშაობა. მესამე კითხვის შესახებ სხდომა ავალებს პრეზიდიუმს გამრთობ ს—ბის გამგეობასთან იქონიოს მოლაპარაკება ჩვენი ურთიერთისადმი დამოკიდებულების იურიდიულ ფორმებში ჩამოსასხმელათ. მეოთხე კითხვის შესახებ სხდომამ დაავალა მდივანს კ—ვის მუშაობის ანგარიში და წარმოუდგინოს მომავალ სხდომას განსახილველათ. მეხუთე კითხვის შესახებ სხდომა მუხლობრივ იხილავს კონსტიტუციის პროექტის ნაწილს და ნაწილს გადასდებს მომავალ სხდომაზე განსახილველათ. მომარაგების კომიტეტის პარტიულ ამხანაგების განცხადებას, მათში მცირე კოლექტივის დაარსების შესახებ, რადგანაც ეს დარგი ჩვენს რაიონში არ შედის, სხდომამ გადასცა ის მეორე რაიონულ კოლექტივს. საგამომძიებლო კომისიის მოხსენება ამხ. ლ. ბერიტაშვილის საქმის შესახებ მიღებულ იქნა მხედველობაში. უკანასკნელი კითხვის შესახებ სხდომა ადგენს საგანგებო კრება მოწვეულ იქნას, ხუთშაბათს, საღ. 7 ს., რომელზედაც მოწვეული იქნება ამხ. ა. საყვარელიძე კონსტიტუციის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად.

მდივანი.

პროვინცია

დუშეთი. მთავრობის ბრძანებით დუშეთის მაზრაში ა. წ. 15 სექტემბრიდან გამოცხადებულია სამხედრო წესები. სამხედრო წესების საჭიროებას გრძნობდა ერობის გამგეობაც, ვინაიდან ყაჩაღთა ბრბოების თავგასული თარეში მაზრას ანარქიულ მდგომარეობაში აგდებდა. ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდნენ უმთავრესად მობილიზაციით გამოწვეული ორასი გვარდიელი, ადგილობრივი მილიცია და ცხენოსანი ესკადრონი. ამ ძალების საშუალებით სწარმოებდა ბრძოლა ყაჩაღების წინააღმდეგ; ამავე ძალებს მოუხდა ბრძოლა ბოლშევიკების შეიარაღებულ გამოსვლის ჩაქრობის დროს და ეს უკანასკნელი საქმე ჩვენმა გვარდიამ და მილიციამ სრულიად უსხვერპლოთ და ბრწყინვალედ შეასრულა. რაც შეეხება ყაჩაღთა ბრბოების წინააღმდეგ მოქმედებას, სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-ჯერობით ყაჩაღთა ბრბოების სრულიად განადგურება ვერ მოხერხდა და ამის მიზეზი თვით დუშეთის მაზრის პირობები იყო. სამხედრო წესების გამოცხადებამდე და შემდეგაც არ გვქონდა მტკიცე და ძლიერი ადმინისტრატიული აპარატი; მილიციელთა რიცხვი მცირე იყო და ისინი მატერიალურად საშინელ სივიწროვეს განიცდიდენ; ადმინისტრაციას არავითარი გადასასვლელ-გადმოსასვლელი საშუალებები არ ჰქონდა და დღესაც არა აქვს—ეს ძლიერ აბრკოლებდა ადმინისტრაციის ნაყოფიერ მუშაობას ამ მიმართულებით. ყველაფერ ამას ზედ ერთვის ის გარემოებაც, რომ დუშეთის მაზრის ჩამორჩენილ გლეხკაცობას საკმაოთ არა აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა რესპუბლიკის წინაშე და ამისათვის არავითარ თვითმოქმედებას არ იჩენდენ ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლაში; პირიქით, თითქმის ყველა სოფელში ეგულებოდათ ყაჩაღებს ორი-სამი ისეთი ოჯახი, სადაც მათ დახმარებას გაუწევდენ საჭმელ-სასმელის, ბინის და იარაღის მიწოდებით, ხოლო დანარჩენი მცხოვრებლები კი ამ მოვლენას გულგრილად ხვდებოდენ. თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე დუშეთის მაზრის გაუვალ ტყეებს—ნათელი იქნება თუ რა საძნელო საქმეა ყაჩაღების მოსპობა.

ამ მხრივ სამხედრო წესების გამოცხადებას და შეიარაღებულ ძალების მოქმედებას მაზრაში შედეგათ მოჰყვა ყაჩაღთა ბრბოების დაშლა. თუ წინათ ორმოცი—სამოცი ყაჩაღი, ერთ ჯგუფათ შეკავშირებული, სრულიად თავისუფლად და აშკარად ახდენდენ თავდასხმებს, დღეს საბედნიეროთ, ეს ასე არ არის: ყაჩაღების ორგანიზაცია დაშლილი და დაქსაქსულია; ნაწილმა თავს უშველა თერგის ოლქში გადასვლით, ნაწილი ხელში ჩაუვარდა ადმინისტრაციას, ხოლო დანარჩენები კი იმალებიან სოფლებში. ამის შემდეგ მათ წინააღმდეგ მოქმედებას უნდა მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

ამა წლის 24 დეკემბერს ერობის გამგეობის და სახალხო გვარდიის დუშეთის საოლქო შტაბის წარმომადგენელთა შეერთებულმა თათბირმა გენერალ-გუბერნატორის და მაზრის კომისარის მონაწილეობით იქონია ხანგრძლივი მსჯელობა დღევანდელ მდგომარეობის და მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ და მივიდა შემდეგ დასკვნამდე.

სამხედრო წესებმა ჩვენ უკვე მოგვცა ის შედეგები, რისაც მიღწევა შესაძლებელი იყო და ამის შემდეგ სამხედრო წესების გაგრძელება თათბირს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

თათბირმა გამოიმუშავა აგრეთვე მთელი რიგი ზომებისა ყაჩაღების წინააღმდეგ.

სახალხო გვარდიის დღის ანგარიში

(ცენტრალური კომისიისაგან)

გვარდიის დღეს (12 დეკემბერი 1919 წ.) არ გაგვიმართავს ყულაბებით, ან სხვა რაიმე საშუალებით ფულის მოგროვება.

ჩვენი მიზანი იყო მიგვეცა ამ დღისათვის საზეიმო, სადღესასწაულო ხასიათი. ეს კი ჩვენი აზრით სავსებით მიღწეულ იქნა და ამ დღეს ჩვენმა დემოკრატიამ, ჩვენმა შეიარაღებულმა ძალამ ჩინებულათ დაიჭირა ეგზამენი.

ამ დღისათვის გამოვიდა რამდენიმე ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, საცა უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული ჩვენი გვარდიისაკენ, ჩვენი შეიარაღებული ძალისაკენ. აი ეს გამოცემანი და რამდენიმე ღია წერილები იყიდებოდა გვარდიის დღის ხარჯის დასაფარავად, რკინის გზის მატარებლებში, თუ სხვაგან.

აგრეთვე ამ სალამოს გამართულ, ზოგი ორგანიზაციებიდან, წარმოდგენებიდანაც შემოსული ფული მოსდის ცენტრალურ კომისიას.

მოგვყავს აქ ანგარიში დღემდე შემოსულ ფულებისა:

ერთობის უბანში გამართულ წარმოდგენიდან ამხან. ალ. ღლონტის ხელით 1500 მ. მარო აბულაძის მიერ გაყიდულ გაზეთების—500 მ.

რკინის გზის მატარებლებში გაყიდულ ჟურნალ-გაზეთებიდან და ღია წერილებიდან: პირველი რაიონის კომისიის მიერ—24,446 მ. 50 კ. ზემოავჭალაში გამართულ წარმოდგენიდან ამხ. მ. მამულაიშვილის ხელით—1413 მან. ამხ. მეგალოვის მიერ გაყიდულ გაზეთების—600 მ

აგარაკ ხაზმარიზე ფრონტის დღეს მოგროვილი ამხ. ი. გოგელის მიერ—6605 მ. 45 კ.

სულ დღემდე შემოვიდა—35,064 მ. 95 კაპ.

ცენტრალური კომისია მადლობას უძღვნის ყველა ამხანაგებს შრომისათვის და იმედოვნებს, თუ რომელიმე ორგანიზაციას ჯერ არ წარმოუდგენია გაყიდული გაზეთების ან წარმოდგენების ანგარიში, ჩქარა წარმოადგინონ.

უმთავრესი კომისია.

გვარდიის დღის 3 [illegible] რაიონის კომისიის ანგარიში.—1919 წ. 12 დ.

შემოვიდა გაზეთების და ღია წერილების გაყიდვით მატარებელში: ფოთიდან (გუბაშვილი)—5100 მ., ბათუმიდან (ჩიტაიშვილი)—867 მ., ბორჯომიდან (ინწაძის ქალი)—2052 მ., ქუთაისი (შ. დოლიძე)—1270 მ., შორაპანი (ვანაძე)—130 მ., ზესტაფონი (ცაგარელის ქალი)—2523 მ., ბათუმიდან (სიხარულიძე)—4104 მ. 50 კ., ფოთიდან (მეგრელიშვილი)—1134 მ., სურამი (ბერია)—450 მ., ბათომი (სოსელია)—1100 მ., ბათომი (მეგრელიშვილი)—2769 მ., სანაინი (მარშანია)—595 მ., სადახლო (ქურციკიძე)—950 მ., თფილისი (სადაგიშვილი)—356 მ.. თფილისი (რამიშვილი)—68 მ., თფილისი ო. დოლიძისა და კ. ბერეჟანისა)—1010 მ. სულ შემოვიდა: 21 478 მ. 50 კ. მივიღეთ სახარჯოთ ექიმ ცინცაძისაგან 3000 მ. გავყიდეთ ნაძვის ტოტებიდან დარჩენილი შეშათ 400 მ. სულ 27,878 მ. 50 კ. დაიხარჯა ავტომობილების და მატარებლების მოსაწყობ მოსართავად სულ 3602 მ. დარჩა წმინდათ 24276 მ. 50 კ., რომელიც გადაეცა ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ცინცაძეს. ამ ფულებში არის სამი ათას მანეთამდე დონის და კერენსკის ბონები, მოგროვილი ბათომში.

კომისია გულწრფელ მადლობას უძღვნის ახალგაზრდა მარქსისტთა წრეს და სხვა ამხანაგებსაც, რომელთაც დიდი შრომა მიიღეს ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაში, რასაც ჰქონდა დიდი აგიტაციონური მნიშვნელობა.

კომისიის წევრნი: ხ. დოლიძე, პ. ხურცილავა, ი. მამაცაშვილი, დ. პაპიძე.

წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის" მე-244 №-ში იყო მოთავსებული ვინმე მგზავრის წერილი სათაურით „ადირბეჯანში", სადაც სხვათა შორის იყო აღნიშნული შემდეგი: „გარდა სამგზავრ მოხელეთა უგვანო მოქმედებისა იქვე (სად. სადახლოში) შემომჩნევლ რკინის გზის რევიზორის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება, რომლისთვისაც ოქმიც შეუდგენიათ (9 ოქტომბერს).

ამ საქმის შესახებ მოვახდინე გამოძიება, მაგრამ როგორც სადგ. სადახლოს მილიციონერი ამტკიცებს, არავითარი ოქმი რევიზორის უკანონო მოქმედებაზე დასახელებულ რიცხვში არ შედგენილა; ჩანს ავტორი ამ წერილისა ვინმეს შეცდომაში შეუყვანია. ამას ვაცხადებ მგზავრის საყურადღებოთ.

ექსპლოატაციის უფროსი აბელიშვილი.

განცხადებანი

იყიდება
ჭურჭლის ბუფეტი
ელისაბედის ქუჩა, № 126. ბინა 3. შესავალი ეზოდან, მეორე სართული.
(117—1—1)

ექიმი ე. მ. [illegible]
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87.
(114—თ.)

ექიმი
ლ. ტურიაშვილი
იღებს შინაგან, საზებიო და ქალურ ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს.
ტელ. 14—13. (119—თ.)

ექიმი ა. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი მკურნალობა (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით [illegible] დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იმაილოვის ქუჩა № 28.
(თ. 3065).

დოქტორი მედიცინის
ა. ა. მონსე
სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით ავადმყოფობანი კუჭისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—2)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი.
(თ. 3322)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშვალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლავების, ქეპების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ფიზიოთერაპევტიური კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—8 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 8. (თ.8372)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ქლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3230—თ.

ექიმი [illegible].
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი [illegible].
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავჭალის [illegible] ახლოს.

ვაგზლის კერძო სამკურნალო
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავშ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საშარდე ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი [illegible] ქალთა სნეულ. სამშ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავშ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუმურაანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. აპერაცია შეთანხმებით. „606" და „914".
(2930—თ.)